№ 1 (49) 1931 წ. 15 იანვარი    წელიწადი მესამე    ფასი 15 კაპ.




ვ. ი. ლენინი 1920 წელს კომინტერ˜ის კონგრესზე.

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან

მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე.
შესავალი წულუკიძის ქუჩიდან



ლენინი წითელარმიელთან

F 687

# დიდი მებრძოლი და მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მისი სახელია ბრძოლა. მისი მოგონება — ბრძოლა. მისი მემკვიდრეობა — ბრძოლა“**, — ასე დაახასიათა ლენინი შვეციის გამოჩენილმა მოღვაწემ და მწერალმა **ტურე ნერმანმა.** ამ სხარტ დახასიათებაში მოცემულია არა მარტო ლენინი, როგორც უდიდესი ისტორიული პიროვნება, რომელმაც სამი ათეული წლის მანძილზე გვიჩვენა მუშათა კლასის იდეალებისათვის თავდადებული ბრძოლის გმირული მაგალითი, არამედ მთელი ბუნება ბოლშევიზმ-ლენინიზმის, რომელიც დღეს, დიდი ბელადის სიკვდილიდან შვიდი წლის შემდეგ, აცამტვერებს კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებს დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე და მთელი ქვეყნიერების ჩაგრულთ და გაყვლეფილთ უნათებს გზას უკეთესი მერმისისაკენ.

ჯერ კიდევ მოწაფეობის სკამიდან შეითვისა ლენინმა ღრმა სიძულვილი თვითმპყრობელობისადმი და როცა მის ოჯახს მეხივით დაატყდა ცნობა, რომ მის უფროს ძმას ალექსანდრე ულიანოვს დაღრჩობა გადაუწყვიტეს ტერორისტული მუშაობისათვის მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, პატარა ილიჩს პირიდან აღმოხდა მხოლოდ

— Значит он (ძმაზეა ლაპარაკი) не мог поступить иначе.

მის მამას ძლიერ უყვარდა ბავშვებთან ერთად მღერა დეკაბრისტ რილეევის დავიწყებული ლექსის:

По духу братья мы с тобой,
Мы в искупленье верим оба;
И будем мы питать до гроба
Вражду к бичам страны родной.

და ეს სიძულვილი თავისი ქვეყნის სისხლისმსმელებისადმი ასულდგმულებდა ორივე ძმას, მაგრამ სულ სხვადასხვა იარაღი და საშუალებები ირჩიეს მათ ტირანიის დასამხობათ და მშრომელთა განთავისუფლებლად. იმ დროს, როცა პირველი ტერორისტული აქტით, ერთი მუჭა შეთქმულთა ძალებით ლამობდა დესპოტიზმის დამხობას, მეორემ შექმნა ფოლადისებური პარტია, მის გარშემო დარაზმა მილიონებიანი მასები, რომლის გრიგალისებურ შემოტევას ვერ გაუძლო ვერც თვითმპყრობელობამ და ვერც თვითმპყრობელობის ნაშთებზე აღმოცენებულმა ბურჟუაზიულმა ხელისუფლებამ, ზურგგამაგრებულმა ესერმენშევიკების დახმარებით.

ვლადიმირ ილიჩმა გაამართლა იმ დროინდელი რევოლიუციონური სიმღერის ნაწყვეტი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა მის ძმას — ალექსანდრე ულიანოვს:

Настанет блаженное время,
Когда из истлевших костей
Поднимется мститель суровый
И будет он нас посильней.

ეს „მრისხანე შურისმაძიებელი“ იყო თვით მასა, მასა, რომელიც დარაზმა ლენინის მიერ შექმნილმა პარტიამ და რომელმაც გააცამტვერა თავისი საუკუნოებრივი მტარვალები და სისხლისმსმელები.

„მისი სახელია — ბრძოლა, მისი მოგონება — ბრძოლა, მისი მემკვიდრეობა — ბრძოლა“.

მართლაც ლენინის მთელი სიცოცხლე არის დაუსრულებელი ბრძოლა ჯერ მარქსიზმის იდეების გავრცელებისათვის მუშათა კლასში, შემდეგ — ეკონომიზმთან, შემდეგ მენშევიკებთან — ლიბერალურ ბურჟუაზიის კუდში ჩანჩალის წინააღმდეგ ჭეშმარიტად რევოლიუციონური პროლეტარული პარტიის შესაქმნელად, ბრძოლა ლიკვიდატორობასთან, ტროცკის „პერმანენტული რევოლიუციის“ თეორიის წინააღმდეგ. შემდეგ, ომის წლებში, როცა მთელი მეორე ინტერნაციონალი გადაბარგდა იმპერიალიზმის ბანაკში — ბრძოლა ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმისათვის, კაუცკი - ვანდერველდე - ბონკურ - პლეხანოვის ობორონცობის — თავიანთი ქვეყნის ყაჩაღურ მთავრობებთან თანამშრომლობის წინააღმდეგ, გმირული ბრძოლა მეორე ინტერნაციონალის მოღალატური როლის გამოსააშკარავებლად და აქა-იქ დარჩენილი თითო-ოროლა ნამდვილ რევოლიუციონერ-ინტერნაციონალისტების შესაკავშირებლად.

იარაღის საზარელ ჟღარუნში, ზარბაზნების გამაყრუებელ გუგუნში, საერთაშორისო მენშევიზმის პატრიოტულ ღრიანცელში მკვეთრად გაისმოდა ხმა მარქს-ენგელსის ინტერნაციონალისტური მოძღვრების სიწმინდის დაცვისათვის დაუღალავ მებრძოლის — ლენინის —

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შემდეგ — 1917 წელი. თვითმპყრობელობის დამხობა რუსეთში, თავად ლვოვის მთავრობა და მის გვერდით მეორე მთავრობა — მშრომელთა მთავრობა — მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების სახით. და ჯერ კიდევ შვეიცარიიდან — ბრძოლა ძალაუფლების ბურჟუაზიისათვის გადაცემის წინააღმდეგ, ლვოვ - გუჩკოვ - მილიუკოვის მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც თავისი კლასობრივი ბუნების გამო ვერ მისცემდა რუსეთის მშრომელ მასებს ვერც ზავს, ვერც პურს და ვერც მიწას. რუსეთში ჩამოსვლისთანავე — ბრძოლა მასების დასარაზმავად ძალაუფლების დაპყრობისათვის, მის გადასაცემად საბჭოებისთვის, ბრძოლა ორმთავრობიანობის წინააღმდეგ, ომის გაგრძელების პოლიტიკის წინააღმდეგ, მიწების გადაცემისთვის გლეხობის განკარგულებაში. ბურჟუაზიის გააფთრებული ტერორი ლენინის და მისი თანამებრძოლების, მთელი ბოლშევიკური პარტიის წინააღმდეგ. ივლისის დღეები. არალეგალური ცხოვრება „თავისუფალ“ რუსეთში, სადაც შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებათ „სოციალისტები“ იყვნენ და მზადებ ოქტომბრის გადატრიალებისათვის, დაუღალავი, სისტემატიური, წმინდა ლენინური მზადება ბურჟუაზიისა და „სოციალისტების“ ბლოკის მთავრობის დასამხობათ.

შემდეგ — დიადი ოქტომბერი.

ერთ ღამეს — 25 ოქტომბერს — ზავი, მიწა, პური და ნამდვილი თავისუფლება.

კონტრ - რევოლიუცია ირაზმება ანტანტის დახმარებით. სამოქალაქო ომი. გმირული, სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა შინაურ კონტრ - რევოლიუციასთან და 14 სახელმწიფოს კოალიციის ჯარებთან. ლენინი — სტრატეგია, აქციური მონაწილე სამხედრო ოპერაციების გეგმების შედგენის, ლენინი — ორგანიზატორი დანგრეული სახალხო მეურნეობის. ამავე დროს, სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, იგი ასწრობს მომავალი — სოციალისტური რუსეთის კონტურების შემოხაზვას, ადგენს ინდუსტრიალიზაცია - ელექტროფიკაციის გეგმას, გეგმას, რომელსაც ლენინის პარტიის ბოლშევიკურ ცეკას ხელმძღვანელობით ასე წარმატებით, გადაჭარბებით ვანხორციელებთ ახლა.

ბოლშევიკური პარტიის გარშემო დარაზმული რუსეთის მშრომელი მასები აცამტვერებენ კონტრ - რევოლიუციის ბანდებს. იწყება ბრძოლა სამეურნეო ფრონტზე. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, დროებითი დათმობა კერძო თაოსნობისათვის — ნიადაგის მოსამზადებლად ახალი, უფრო დაჩქარებული მოძრაობისათვის კომუნიზმისაკენ.

ციხე - ციმბირით, განუწყვეტელი დევნით, შრომითა და ესერული ტყვიით დაუძლურებული ორგანიზმი ვეღარ უძლებს და 1924 წ. 21 იანვარს მთელი მსოფლიოს კიდითკიდემდე მიდის შემაძრწუნებელი ცნობა:

— **ლენინი მოკვდა!**

ლენინი მოკვდა, მაგრამ დაგვიტოვა უდიდესი მემკვიდრეობა, კომუნიზმისათვის ბრძოლის ბასრი იარაღი, სამი ათეული წლის მანძილზე პროლეტარიატის აშკარა მტრებთან და ცრუ მეგობრებთან ბრძოლაში გამახვილებული იარაღი და, რაც მთავარია, ფოლადისებური ბოლშევიკური პარტია, რომელიც შეუდრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვ.ი. ლენინის ძეგლები სხვადასხვა რესპუბლიკებში

კლად მიდის წინ ლენინის მიერ ნაჩვენები იარაღით.

7 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასმა დაჰკარგა დიდი მასწავლებელი. ჩვენი მტრები ფიქრობდნენ, რომ ლენინის სიკვდილის შემდეგ კომუნიზმიც მოკვდებოდა. არ გამართლდა მტრების იმედები. არ გამართლდა იმიტომ, რომ ლენინმა თავის შემდეგ დასტოვა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მილიონი შეგნებული მშენებლები, რომლებშიც სცოცხლობს ლენინიზმი, შეურყეველი ბოლშევიკური ენერგია, ფოლადისებური სიმტკიცით. ეს მილიონები დღეს აშენებენ სოციალიზმს, სპობენ კაპიტალიზმის უკანასკნელ ნაშთებს, აგებენ ახალი წყობილების და ყოფა - ცხოვრების დიად შენობას.

ბევრი დაბრკოლებები გვეღობება წინ ამ ულამაზეს, დიად, გმირულ ბრძოლაში ახალი ქვეყნის მშენებლობისათვის. სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ გარედან იერიში მოაქვს მსოფლიო ბურჟუაზიას, შიგნიდან — დამსხვრეული კლასების ნაშთებს, სხვადასხვა ჯურის მავნებლებს. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებს, მაგრამ მუშათა კლასი რკინის ცოცხით ჰგვის თავის გზიდან ამ დაბრკოლებებს და ძლევამოსილად მიდის წინ ახალი გამარჯვებებისაკენ, ლენინის საქმის განსახორციელებლად მისი საუკეთესო მოწაფის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით.

**ე. ჭუღაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასოთ-ამწყობი

## I.

ელექტრონმა რომ გაანათა, შუქზე პატარა ოთახი გამოჩნდა. ინდუსტრიის ნაპერწკლებმა გაყარა ორი დროს მორიგეობა. დღე, თითქოს „დღით“ გრძელდება და ისპობა ღამის საზღვარი.

ოთახის შუაზე ყუსტის ლუმელია. შიგ წიფლის ნედლი შეშა შიშინებს. ჩუის. სისინებს ალმოდებულ ნაკვერჩხლებზე ატირებული კუნძის ნახეთქები. კედელზე რეპროდუქტორი ლაპარაკობს. რადიო-მნური მიყვება კედელ-კედელს და ქუჩის ხაზგაბმულობას უერთდება. ტეხნიკის უკანასკნელი სიამაყე იმორჩილებს გარემოს. ის ქოხშიდაც შეიჭრა. გლეხის კერას ადგია თავზე მსოფლიო მოლაპარაკე. სოფლის დაუჯერებელი სიჯიუტე მოტეხა დიდი ხანია. ახლა გამარჯვებას დღესასწაულობს, ყოველ საღამოთი. ოთახში შესავალი პირველი სართულიდან აქვს. კარები ერთიანია. ლურჯად შეღებილი. სადარბაზო სამგულიანი. ორი ფანჯარა დარაჯობს ქუჩის მოძრაობას. მოსიარულენი ხშირად იჭვრიტებიან გარედან. ჩერდებიან. ათვალიერებენ შინაგან მორთულობას. რა არის! რა ჩანს!.. უცხო თვალი მომეტებულად გვიანდება. გაფაციცებით იხედება შიგ. რა მოსჩანს!.. რა მორთულობაა ოთახის!... პირდაპირ შკაფის თავზე კიპებათ შეკრული ქაღალდებია. იქნებ არქივისაა!.. მოამბე გუბერნატორის, მამასახლისის ან კიდევ ერობის. შეიძლება შიგ ბევრი რამაა ჩაწერილი ხალხის წვალების. ღარიბი გლეხების ტანჯვის. ყმების გამოხსნის, გასაჩუქრების ან ძლევნმოსტანლობით გაბრაზებული ბატონის განკარგულების... უსამართლო ბრძანების მაგრამ ამას შორიდან დახამხით ხომ ვერ გაარჩევ! უშუალო შთაბეჭდილება არაა სრული და დასკვნას ნუ გამოიტანთ. მაგრამ ყველაფერი ეს უკანა რიგზე დგება. მთავარი აქ მაინც სხვაა. ძველს დღევანდელი სდევნის. აქრობს სიბნელეს და ახლისაკენ იწევს. კიპების გვერდით ხალხი სხვა რამეს ხედავს. ახალს. მათთვის უჩვეულოს. უნახავს. და ეს არის, რომ მათ იტაცებთ. იზიდავთ. თითქოს ჩვეულებად გადაქცევიათ აქ დგომა და პატარა ბალღებივით ჭვრიტინი. ასე იხედება ყველა—დიდი და პატარა. მოხუცი, ახალგაზრდა. ქალი. კაცი. ეწაფებიან ისე, როგორც დასიცხული ყევარი ანკარა მდინარეს.

ფანჯრიდან ხედვა აღარ ისორვა მოხუცმა იამ. შემოუარა შესავალ ეზოდან. კარი შეაღო. მიდის უცხო ადგილზე. არ ენახა ასეთი მას თავის დღეში. დაჭმუჭნული სახე, ჩამომხმარი ყბები და გათხელებული ცხვირი დაგრძელებულად აჩენს მის, ოდესღაც ღაჟღაჟა სახის გამომეტყველებას. გათეთრებია წვერი. გრძელი, მოუვლელი თმა ბოლო შეყვითლებულია. წელში გატეხილივით სდგას მოხუცი. ია გარინდულია ერთ ადგილზე. შემოსვლის შემდეგ ფეხს ველარ იცვლის. მოხუცის გული თბილია და მოგონებით კმაყოფილი. ტკბილია მისთვის მჩქეფარე სისხლის გახსენება. ყმაწვილკაცებში უყვარს დგომა, ლაპარაკი და წახალისება: „თქვენ ხელობაზე ბიძი ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი“. ამბობს ჟამთა მომსწრე. ამხიარულებს შვილიშვილებს. უთითებს საქმეზე. მიყევი შრომას და ადიდე მშრომელის მკლავი. ეს იყო სათქმელი იასგან ყოველ ჟამს. ია ოსია შთამომავლობით. სოფლიდან სოფელს გადახვეწილი. ეს სადგომი მისთვის სული სხვა რამეს წარმოადგენს; ვინემ იმ პიონერისათვის, რომელმაც ის სკოლაში წასვლისას დაათვალიერა. აძგერებული გულით იდგა და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა მისთვის უცნობ მოძრაობას. ია მის შორეულ ბედს იცნობს. მას უნახავს ამ სახლში უკუნეთი ღამეები. ამოშენებული ფანჯრები; ახლა სინათლის რომ ფენენ კუთხეებს. ბნელი სარდაფი იყო მაშინ ტუსაღის! ია ღარიბი გლეხი. გაჭირვებული ოჯახი. ვერ გადაიხადა ღალა: არ ეყო ფოსტის ფული. გამოელია დრამა. ზედაში ვერ გაუწოდა დროზე მღვდელს. სულის მოსახსენებელიც აღარ შეექმნა ხატში წასასვლელად და მამასახლისმა შეუკრა უკან ხელები. კონდახის კვრით შემოაგდეს ის ამ ოთახში და კარები გამოუკეტეს. აქ გაატარა დღეები. წელიწადს ერთი თვე უკლდა, როცა გაუშვეს: გაყვითლებული; არაქათ გამოლეული. წვერმოშვებული. შუა კაცი იყო ამ ხანად. ძარღვი გაუწყდა ბნელაში, დაობებულ აგურზე წოლით. ეს კიდევ არ კმარა... იამ შემდეგაც ნახა ბნელი კუნჭული. სირისტიანი კუთხე და იატაკზე დამდგარი ლაფი. ეს მოხდა ერობის ქვეშ. გვარდიის შტაბი იყო ამ სახლში მაღლით. მაშინ ია სხვა მოსაზრებით შეაგდეს ძველ სამყოფში. ნაჩვევ ადგილზე. მიზეზი დაჯილდოების: დუშეთის მაზრის მუშათა და გლეხთა საბჭოების პირველი ყრილობის დეპუტატობა გახლდათ. სიღარიბემ ამოაღებია ხმა იას და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, 1918 წელში აჯანყებულ დუშეთის გლეხობას ეხმარებოდა. ქონდა თოფი. ჩახმახმოშლილი გრძელი რევოლვერი და ქარქაშ გატყაული სატევარი: თავზე ნახევარი ცხვარი ეხურა. ტანზე სამი თუ ოთხი საკლავი ცხვრის ქურქი. დადიოდა ღამით. ყარაულობდა სამხედრო გზაზე და იცავდა ქალაქის კარი-ბჭეს. დუშეთის აჯანყებამ გაიმარჯვა. შესდგა ალმასრულებელი კომიტეტი ბოლშევიკების მეთაურობით. მშრომელი გლეხობა დადგა ფეხზე. ანადგურებდენ: მებატონეებს, თავადებს, აზნაურებს, შეუწყვიტეს მღვდლებს შესაწირი... მიწა მიწის მუშამ დაინაწილა: გაიკაფა ტყეები. ია დეპუტატობდა პირველ ყრილობაზე. მისი ქოხი იყო რევოლიუციონერთა თავშესაფარი. საკრებულო. თვითონაც არ იყო უკმაყოფილო გამარჯვების ზეიმით. აღფრთოვანებით ამაგრებდა ჭალარა, პროლეტარიატის დიქტატურის მებრძოლი ორგანოების პირველ მერცხლებს, იცავდა მათ იარაღით ხელში მტრისაგან. იგერიებდა ჯაშუშებს; მოქიშპეებს. მაგრამ იახეთ უკუღმართობას!.. გამარჯვება დროებითი გამოდგა მაშინ. მენშევიკებმა სისხლში ჩაახშეს აბობოქრებული გლეხები. დუშეთი ჯარებით გარშემორტყმულია. აივსო „ძმათა სასაფლაო“. 18-ზე მეტი კომუნარი ჩაესვენა მიწაში ჯალათის ხელით. ეს მოხდა 1913 წელში.

აწიოკდა მთელი რაიონი. ტყვიამფრქვევები ალაპარაკდენ ქუჩებში. გახშირდა ტერორი. ღამის სიბნელეს აქრობდა აჯანყებულთა სახლებიდან ავარდნილი ალი. იწვოდა ქოხები.

ია სიკვდილს გადაურჩა. ბევრი იმალა. იხეტიალა პარტიზანელებით. მთიდან მთაზე გადარბოდენ ძმათ გაფიცულები. იარეს ფშავფი. მთიულეთი რამდენჯერმე დაფონეს, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ ასცდა ხელებგაკრულ ჯდომას ცივ კაბინაში. აი აქ, ახლა, ასე გამუდმებით რომ შეყურებს ოთახს. სწორედ ამ შენობაში იცხოვრა გასაბჭოებამდე ორი მესამედი ხანში. აქ დაუძლურდა მისი მუხლები. სინესტემ ობი მოკიდა სახსრებს და რევმატიზმმა აღარ მისცა სიარულის საშუალება.

ანგვარად მოხუცმა კარგად იცოდა აქაური წარსული. ახლა უკვირს. განცვიფრებულია. ნუ თუ ასე შეიცვალა ყოველივე!.. მართლაც არაფერი გავს ძველს. ყოველივე სიახლეს იჩენს. ეს გასაკვირიცაა... უჩვეულო და სასიქადულო: რამდენი შეძლება ქონია მუშათა კლასს!.. როგორ ძირფუძიანად შეატრიალა ყოველივე და სწორ გზაზე დააყენა. აღადგინა დანგრეული ქვეყანა. ძლიერი ნაბიჯებით გასწია წინ. აბა რას წარმოიდგენდა პარტიზანელი ია 16 წელში, 18 და 21 წლებში, როცა ეს ბინა მისთვის გალია იყო! საფრთხობელა ყველასათვის. სულის შემხუთავი მშრომელი გლეხების. როგორ შეეძლო ფიქრად მოსვლოდა იმის შეასედიც კი, რასაც დღეს თვალნათლივ ხედავს!. თუ ოდესმე იმავე ადგილზე მოვიდოდენ ქალაქის მუშები და სტამბას გამართავდნენ. თავისუფლად დაიბეჭდებოდა გაზეთი. იქნებოდა სიტყვის სრული თავისუფლება. რისთვისაც ასე მედგრად იბრძოდა პროლეტარიატი. გლეხი დასწერდა წერილს. [illegible] მუდამ ვარამად მყოფი, ლა[illegible] შვილის პატრონი სასიკვდილოთ შეუტევდა კულაკს, წელში გასწყვეტდა მის სისხლის მწოველს და მოსპობდა მას. სოფელი აყრიდა საზღვრებს, ამოიღებდა მამაპაპის ჩაკირწყლულ, დანახშირებულ კორძებს და მთელი სოფელი შევიდოდა კოლექტივში, შექმნიდა კოლექტიურ მეურნეობას. ძნელი იყო ყველა ამათი გათვალისწინება მაშინ, როცა შეიარაღებული გლეხები თავს ესხმოდენ მენშევიკურ გვარდიას, ანადგურებდენ სოციალ-გამყიდველებს. თავად-აზნაურების და ბურჟუაზიის დამქაშებს. თვით ია თავდავიწყებული გადაეშო ტალღათა კორვაში. მედგრად უტევდა. მას არ შეეძლო სხვაზე ფიქრი, მაგრამ ახლა მისთვის ყოველივე ცხადია... ჭაღარა წვერები მოესწრენ გამარჯვებას: მის თვალწინ შენდება ზღაპრული, საოცნებო სოციალისტური სამყარო. უჩვეულო ტემპებით იზსჭვალება მასა. შრომითი აღფრთოვანება სპობს ჩამორჩენილობას, კუდში მაჩანჩალობას. თვით ის ძველი სატუსაღოც გამოცვლილია დღეს. დღეს ის ოთახი სულ სხვაა და სხვა დანიშნულებას ემსახურება. ახალი ძირფუძიანად შეცვლილი. მან ამჟამად დაწკრიელობა იდო თავზე. სამ დღეში ერთხელ იბეჭდება შიგ გაზეთი. ის იტევს თავდადებულ მუშებს. ენტუზიასტებს. სოციალიზმის მშენებლობის აქტიურ წევრებს. მოწინავეებს. დღეს ოდესღაც იების საპყრობილე წითელი პრესის სტამბის ბინაა. აქ მოდიან მშრომელი გლეხები. მოაქვთ ცნობები. ხდებიან კორესპოდენტები. ნახევრად მცოდნენი სწერენ კორესპოდენციებს. წერაკითხვის უცოდინარები პირდაპირ რედაქტორს ელაპარაკებიან. აწერინებენ კულაკური ბრძოლის მამხილებელ ფაქტებს. ამჟღავნებენ კლასიურ მტერს და სასიკვდილოთ უტევენ მას. ეს ხდება მოხუც პარტიზანელის თვალწინ. მის ირგვლივ და უხარია. გრძნობს უდიდეს სიმშვიდეს. თუმცა ამ ჟამად ის უძლურია. აღარ აქვს ჯანი. უღალატა მუხლმა და წელში მოიხარა. ჯოხი უჭირავს ხელში. პენსიას იღებს ჯილდოთ პარტიზანელი. მოხუცის გული მაინც ძლიერ ძგერს. თითქოს ახალგაზრდაა. თამამი უყვარს სიტყვა. ტონს აძლევს მოწინავეებს. სწუხს, რომ ვერ მიდის. პირადი ოფლი ვერ ეწვეთება სოციალიზმის აგურებს. მაგრამ მაინც უყვარს ყოველი ახალი. აგიტატორივით დგება სადაც შემთხვევა ეძლევა. თეთრ წვერა გაუმაძღარივით იყურება. სამოქალაქო ომის დაღი ასვია. ძლიერი დამღა.

ია გაძლა ყურებით. სანახაობით. დაემშვიდობა დამკვრელ მუშებს. ასოთ-ამწყობს, მემანქანეს. ჯოხის ბაკუნით მიდის ფიქალზე. შემოდგომის ცივი ქარი ეალერსება იას დაღარულ შუბლს.

ოთახში ისევ შრომაა. დაზგას თავს დასტრიალებს ხალისიანი ოსტატი. მებრძოლი სულით. ხელები აქვს მურში მოსვრილი, შავი ბენზინიანი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



შემახა. — გლეხებისათვის აშენებული ახალი სანატორიუმი, სადაც თავსდება 150 ავადმყოფი.

# მუშათა უბანი

სურდა მეც შრომის სიხარულს ვსვამდე,
როგორც მილები ნახშირის ნაბოლს—
ტყდება განგაში მზის ამოსვლამდე
და მდუმარებას ხმაური აპობს.
ვდგევარ დაზგებთან, სადაც შრიალებს
ღვედების შმაგი ქროლვა ქარულად,
სადაც ყოველი მუშა შეალევს
თვალების მზერას ბორბლის მარულას..
და არა ვფიქრობ მასზე, თუ ბულვარს
რა სიმღერების დარხევა ეტკბოს,
მე ქარხნის გულში დავბადებულვარ
და ვუმღერ მაზუთს და ვუმღერ დეპოს..
დღეს ზამთარია,—მიდამოს ათოვს,
მიდამოს ათოვს და კიდეც ყინავს—
ხშირად ჩექმები ქუსლებს ვერ ათბობს,
ნაკლს არა ვმალავთ, არ ვგევართ მყვი-
რალს..
უნდა მკლავები შევწიროთ შრომას,—
ხედავ, ახალი ბრძოლები ჰქუხან..
აი,—დავიწყეთ ჩვენ ეს შენობა
და ზამთრის სუსხმა მტრულად მოგვისწრო,
მაგრამ მკერდების შეუმლელობა
ახალ შეტევის იერიშს იწყობს..
ტემპები ტემპებს მისდევენ წინსვლით..
მუხლებს არ ხრიან ბრიგადები—და
გაანიავეს გუნდები ნისლის
გულანთებულნი გრიგალდებიან..
ჩაქუჩის დარტყმას ელის კვერი—და
ელვარე რკინა ნაპერწკლებს ისვრის,—
შრომის უბანი დღეს დამკვრელია
და გიტარების კვნესა არ ისმის..

შალვა შაველაშვილი.



ბათუმი. — ნავების შეკეთება მეთევზეობის დამდეგ სეზონისათვის.



თბილისი. — მექანიკურ ქარხანაში სამჭედლო ცეხის დამკვრელი მუშები სამუშაოზე.



ბათუმი. — აჭარის სამეურნეო კავშირმა მიიღო თამბაქოს თესლი, რომელსაც სპეცი აგრონომი ახარისხებს.



წითელი წყარო (კახეთი).—ხე-ტყის მასალის მიწოდება შირაქის ნავთის სამრეწველო მშენებლობებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენა მარაბდელი

(ნაწყვეტი)

არსენამ ქვეშის გზიდან რაზმელები ტყის ბანაკში გამოისტუმრა, თვითონ კი შარა გზას გაუდგა, რომელიც ომის გამო სალდათებით იყო სავსე, და ხრამის წყალს გავიდა, ბოლნისი გადასჭრა და თეთრი ხიდისა და ოფრეთის გზით სოფელ წერაქვისაკენ გამოსწია. ამას წინად აქედან მოყვარე ანდრია ბერიძისაგან საჩივარი მოუვიდა, ბატონმა მეტის-მეტად შეგვაწუხა და გვიშველეო. ნასოფლარ გორულს რომ მიუახლოვდა, ტაფობზე მაღალი თეთრი კოშკი და ძველი ეკლესია აესვეტა. წვიმა მოდიოდა და არსენამ გაიფიქრა, თავს ამ კოშკს ან ძველ ეკლესიას შევაფარებო. კოშკიდან ბოლის წვრილი ხვეული ამოდიოდა, ხოლო მის კარებში ვიღაც გამოჩნდა და ისევ სწრაფად მიიმალა. ალბათ მწყემსები იქნებიან,— გაიფიქრა მარაბდელმა, და ლურჯა ჯაგზე მიაბა, თვითონ კი დაბალ კარებში შეალაჯა.

შეალაჯა და უმალვე ინანა: მკერდზე ღრენით ვეება ძაღლი აებოტა და გოჯის სიგრძე კბილები ყელთან აუწკაპუნა. იმავე წამს საფეთქებელთან დამბაჩაც დაინახა და ბინდიდან მრისხანე ბრძანება მოესმა:— ძმობილო, ჩქარა დაზექი, თორე გათავდი!

არსენა მიხვდა, რომ მაგრად გაება. თითიც რომ გაენძრია, თათარი მაშინვე გაათავებდა. ტყვიაც რომ აეცილებინა, ეს საზარელი ძაღლი მაინც გაჰგლეჯდა. გარდა ამისა, კუთხეში ცეცხლთან ორი კაცი კიდევ მოჩანს. საოცარია, რომ არცა დგანან და არცა სხედან, არამედ ისე წვანან პირქვე, თითქო დახოცილები ჰყრიანო.

— დაზექი მეთქი!— წვრილი ხმით შესძახა თათარმა.

არსენა ჩაჯდა და ძაღლის კბილები აიცილა, რადგან იცოდა, რომ იქაური ძაღლები ასე იყვნენ დაგეშილები: გაქცეულს გაჰგლეჯავდნენ, მდგომარეს კბილებს ჩასჭიდებდნენ, მჯდომარეს ზედ დაადგებოდნენ და მწოლარეს კი იქვე მიუწვებოდნენ და ხელის განძრევის ნებასაც კი აღარ მისცემდნენ.

თათარმა არსენას ისე მარჯვედ აართვა ორივე დამბაჩა, თოფი, ხანჯალი და ხმალიც, რომ ოძელაშვილი გაოცდა, ზედ ქარქაშებიღა შერჩა. შემდეგ ქარქაშებიც ასეთივე სისწრაფით ჩამოხსნა, ჯიბეები დაუცალიერა, ხელები თოკით შეუკრა, ცეცხლთან მიიყვანა, პირქვე დააწვინა და ორ უცნობ მწოლარეს გადააბა, თვითონ კი დოინჯი შემოიყარა, ბინდში დიდრონი კბილები გააელვა, ჩაიცინა და სთქვა:

— ყოჩაღ, დალი ჰასან! ერთმა პატარა კაცმა სამი ვაჟკაცი იშოვა.

არსენამ ცალი თვალით აჰხედა და წელანდელზე მეტად გაოცდა. გაოცდა და იცნო, რადგან ათი წელიწადია ამ ჭინკას სახელი ესმოდა. დალი ჰასანი ძალიან დაბალი იყო, თითქმის ჯუჯა, კეტივით გამხმარი, ყორანივით შავი და შუა შუბლიდან ყურამდე ღრმა ჭრილობით დასერილი.

შარშან ალგეთელი ბიჭები ბოლნისის დღეობაში იყვნენ. დალი ყაჩაღიც დალიხაჩში*) მოსულიყო თავის რაზმით. მის ერთ რაზმელს როსტომ ჯორჯიაშვილთან ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი. თათარმა დრო იხელთა და როსტომს ღამის-თევის დროს შეუტია. რაზმელს ბელადი ჰასანი გამოესარჩლა და როსტომის ხანჯალს წააწყდა. არსენა რომ არ მიეშველებოდა, მის ცოლის ძმას ერთ წუთში აჰკუწავდნენ. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა და გათავდა, რომ არსენამ თავგაჩეხილი დალი ჰასანის თვალის მოკვრაც ძლივს მოასწრო. თათრებმა ალგეთელებს თავი მიანებეს, უგონო ბელადი ცხენზე აიტაცეს და გაჰქრნენ. მაშინღა დაედევნენ ბოქაულები, ჩაფრები და ყაზახები, მაგრამ გვიანღა იყო: თათრები ან მიწამ ჩაჰყლაპა, ან ეშმაკმა აიტაცა ცაში, მას აქეთ ამ ბრბოს მუქარა როსტომს და არსენასაც მუდმივ თან დასდევდა. ზოგი მათი მზვერავი რამდენჯერმე მარაბდისა და ენაგეთის მიდამოებშიც ენახათ, მაგრამ მაინც ვერაფერი ვერ შემოუბედეს. ეხლა კი არსენა ამ ყაჩაღს ასე უბრალოდ ჩაუვარდა ხელში. ალბათ ოძელაშვილს არ იცნობს, თორემ აქამდე გაამჟღავნებდა.

დალი ჰასანი ჩაკუნტდა და არსენას თაშტერდა. მერე ჰკითხა:

— სადაური ხარ, ძმაო?

— მარაბდელი.

თათარი წამოხტა, კბილები და თვალები გააელვა, მერე ისევ ჩაკუნტდა ხელმეორედ, თითქო დაეცაო, და—

— იავაშ ყარდაშ!— მოისა ძმობილო!— რა გვარისა ხარ?

— ქავთარ სულხანიშვილი,— მიუგო და წამოჯდა.

— არსენა ოძელაშვილს იცნობ?

— ძალიან კარგად.

— მაშ ისი რას გეტხვი? ქოსა წვერი მოიწიწვნა და დაუმატა:— ის არსენა დამაჭერინე და გაგიშვებ.

— არსენა დაგაჭერინო?— და გულიანად ჩაიცინა.

— რად იცინი, ბიჩო?

— იმიტომ ვიცინი, რომ არსენა მე თვითონაც დამიჭერს და შენც შეგბოჭავს. გარდა ამისა, ის კაცი უკვე დაჭერილია და შეკრული ზის.— და ჭორი მოიგონა: გუშინწინ ბოლნისში მითხრესო. მაგრამ თათარს მართალიც უთხრა, რადგან ეხლა მართლა დაჭერილი იყო და შეკრული იჯდა. თათარი თავს აქნევდა და რაღაცას ნანობდა.

— რა გენანება, ჰასან?— ჰკითხა ოძელაშვილმა.

— თურმე ზალიან ვაჟკაცი იყო. მთელი დუნია აქებს. მახლას! მაშ არსენას დამჭერი ათ თუმანს მიიღებდა.

— ათი კი არა, ორმოცდაათი მიუღია.— წყენით მიუგო არსენამ, რადგან ათ თუმნად შეფასებულს კაცს ვაჟკაცადაც არა სთვლიდა. მართალია, თვითონაც ათად იყო შეფასებული, მაგრამ შემდეგ თანდათან აუწიეს და რამდენიმე თვეში ოცდაათად დააფასეს. და თუ ეხლა მარაბდელი ამ თათარს თავს დააღწევს, თავის ფასს მალე ათას მანეთამდისაც ააწევინებს.

— დალი ჰასან, მითხარი,— ჰკითხა ოძელაშვილმა,— არსენა შენ რომ დაგეჭირა, შეგეგრგებოდა, სახელს მოგიმატებდა? ყაჩაღმა ცოტა მოიფიქრა და მიუგო:

— ვალლაჰ არ შემეგრგებოდა. არსენას პირისპირ ვერავინ ვერ დაიჩერს.

— ეშმაკობით?

— დალი ეშმაკობით რომ დავიჭირო, მაგ ზალლის სახელი აჯობებს ჩემ სახელს.— მიუგო და გარეთ გავიდა, თანაც იფურთხებოდა და თათრულად აგინებდა იმას, ვინც მას არსენას დაჭერაში დაასწრო.

ძალიან დახურდავებულა საარაჩლოელი თათარი. ან ათი თუმანი ებევრება, ან არსენა ეცოტავება. ალექსანდრე ბატონიშვილის კაცად მოაქვს თავი და არსენას კი დასდევს, ხალხს ატყევებს და ახალციხეში ჰყიდის.

არსენამ წამოიწია. ძაღლიც ღრენით წამოვარდა. და კბილები ყელთან გაუელვა.

— დაჯექი, თორემ შეგჭამს. სულ ერთია, არა გამოვა რა,— ურჩია ერთმა ტყვემ.

არსენამ ორივენი შეათვალიერა და სწრაფად გამოჰკითხა ვინაობა. ერთი მათგანი უკრაინელი აღმოჩნდა, სახელად ოსტაპი. ისიც კარპიჩასავით ნასალდათარი გამოდგა. სასოწარკვეთილი იჯდა და დაღლილ ირმის თვალები ცეცხლზე ჰქონდა მიბჯენილი. იმდენად განიერი კაცი იყო, რომ მის ნაჯდომზე ორიც ადვილად დაეტეოდა. მაჯის სისქო შავი ულვაშები დალალებივით ჩამოეყარა მკერდზე და მკლავის სისქე მაჯები მორგვის ოდენა მუხლებზე შემოეტია.

მეორემ ეხლაღა გაახილა მიბნედილი თვალები და ჯერ გაოცდა, მერე კი უზომოდ გაუხარდა, მტკივნეულ ღიმილით წამოიწია და ამოიკვნესა:

— არსენ, შენა ხარ?— სუ, გაჩუმდი, არ გამცე!— და პირზე ხელი მიაფარა.— სადაური ხარ, ვინა ხარ?

— სუმბათაანთ ყმა ვარ, ქვიშხელი, სიმონა ცხოვრებაძე მქვიან. ამას წინათ მარაბდაში ვიყავი და იქა გნახე.

— მეც გამახსენდი,— ჩურჩულითვე მიუგო ოძელაშვილმა,— სუმბათოვს ახლდი, არა? მერე რა დაგემართა?

— სუმბათოვს ვახლდი და იმ უღმერთომ ჩემი თავი იქვე მიჰყიდა ელიზბარ მაღალაშვილს.

არსენას ელიზბარზე უწინაც ჰქონდა გაგონილი, ჩუმ-ჩუმად გლეხებს იჭერს და ჰყიდისო. ისიც იცოდა, რომ საქართველოს უწინდელმა ხელისუფლებამ და ეხლანდელმაც აკრძალეს ამგვარი სამარცხვინო საქმე, მაგრამ ზოგი თავადი და აზნაური მაინც არ იშლიდა და კვლავინდებურად წუნკალობდა. ლეკებმა, ოსმალებმა და ქართველებმაც აღმოსავლეთის ბაზრები აქაურებით გაავსეს, ზოგი უშნო ჯიშიც და მუქთი ყმებიც გაიჩინეს. დათუნა ბარნაველი ეუბნებოდა არსენას, სულ უწინდელი გაყიდულ-მოტაცებულიც რომ ვიანგარიშოთ, იმდენი ათასი გამოვა, რომ მაგოდენა თმაც არ გექნებაო. რაღა შორს წავიდეთ, თვითონ არსენასაც მოსტაცეს ღვიძლი ძმა. მაშინ ხუთი წლისაც ძლივს იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი გუშინდელივით ახსოვს. ლეკებმა თრიალეთს და ბორჩალოს შემოუტიეს. ალგეთელებმა ბირთვისის, კოჯრის, ფარცხისისა და სამშვილდეს ციხეებს შეაფარეს თავი. მარაბდელებიც მიუვალ ბირთვისში შეიხიზნენ. ლეკებმა იქაურობა იავარ-ჰყვეს, მოითარეშეს და წავიდნენ. ხალხი ციხე-კოშკებიდან გამოიკრიფა. ოძელაშვილებიც გამოვიდნენ, მაგრამ ლეკების ჩამორჩენილ ასეულს წააწყდნენ. ღამე იყო და საზარელი ფორიაქი ატყდა. მდევარი მოეშველათ, მაგრამ დაგვიანდა. ლეკები გაიქცნენ და რამდენიმე გაიტაცეს, მათ შორის არსენას ძმა ედიშერიც მოხვდა, რომელიც მასზე სამი წლით იყო უფროსი. ღვთისავარი შვილის ძებნით დაილალა და გალარიბდა, მაგრამ ვეღარ იპოვა და სამუდამოდ დაივიწყა.

მაშ არსენასაც ედიშერის და იმ უთვალავ უბედურის ბედი ეწვია? მაშ ასე წუწკად დასრულდა და ასეთი მოკლე გამოდგა მისი შარა გზა, რომელიც დღითი დღე ფართოვდებოდა და მალე მთელ ქვეყანას უნდა მოსდებოდა? მაშ ამ წუნკალმა ყაჩაღმა უნდა ჩაუშალოს ის დიდი საქვეყნო საქმე, რომელიც რკინის ულელივით დაიკისრა? მაშ ეს იყო, და მეტი არაფერი, ვიღაც იდუმალის ნაჩურჩულევი, მისი შეუსწრებელი შთაგონება და მწვავლებელი აღტაცება? მაშ ამისთვის გავარდა ოძელაშვილი და სხვებიც ამიტომ გაიტაცა? იმისთვის დაეთრევა ნადირივით ტყე-ღრეში და იმისთვის ცხოვრობს ძაღლურად, რომ ამოდენა ვაჟკაცი ასე უწმაწურად გაიტაცონ და სადმე სტამბოლში ქათამივით გაჰყიდონ? არა, რა და საჯერებელია! ეს ხომ უკმურია, რაღაც ავი სიზმარია და ეხლავე გაიფანტება, ხა-ხა, რა ტუტუცი ყოფილა ბედი, თუ არსენაც ტუტუცი ჰგონებია. ასეთი ბედი მას ფეხებზე ჰკიდია. არც აქამდის ემორჩილებოდა და ეხლა ხომ ჩინჩხშიაც აღარ ჩააგდებს, ბედი ბედოვლათს მიათრევს, ვაჟკაცი კი ბედს ლურჯასავით მოაქანებს. რის მაქნისია ადამიანი, ვინც მას დედაკაცივით დაუწვდება და წუწუნებს, ბედმა დამჩაგრაო. ფუჰ, ასეთ ცოხნის!

---

*) დალი ხაჩი—გიჟი ხატი. ასე უწოდებენ თათრები ბოლნისის მონასტერს.

ამ მოგონებამ და მწუხარებამ არსენას ერთ წუთში გაურბინა. მოთმენას აღარ გაჰყვა, ფიქრებსაც თავი მიანება და ორივე დაჭერილს მიჰმართა:

— ამ ურჯულოს როგორ ჩაუვარდით, ძმობილებო?

სულ უბრალოდ. ელიზბარის ეს ვიღაც ოსტატი მეჯინიბედ მოქირავებინა და წერაქვში ამოეყვანა. სიმონაც იქ მოიყვანა და წუხელის ორივენი ამ თათარს მიჰყიდა.

— ეხლა რაღას აპირებთ?

— ხაი პომე ჩორტ!—მიუგო უკრაინელმა და ჰასანს კვალს მიაფურთხა.

— ხელის განძრევას არა ჰფიქრობთ?

— დავაპირეთ, მაგრამ აჰა, შეხედე,—და სიმონამ თავის ხელები და ფეხები აჩვენა.

არსენამ ეხლაღა დაინახა, რომ ორივე ტყვე უწყალოდ იყო დაკბენილი და ნაცემი. დიდხანს აღარ უფიქრია და უკრაინელს მიჰმართა:

— ამ ძაღლს ვერ მოერევი, ძმობილო?

— შენ ოღონდ,—მიუგო უკრაინელმა,— ხელები გამიხსენი და ამ ძაღლს კი არა, ლომსაც მოვერევი,—და მართლაც მოერეოდა.

სამივეს ხელები ზურგზე ჰქონდა შეკრული. არსენა ზურგით მოუწვა უკრაინელს და უბრძანა:

— აბა, ეგ საშგლე კბილები გაანძრიე. სიმონავ, შენც მიუწიექი!

ოსტატმაც ისე გაანძრია კბილები, რომ თითის სისქე თოკისაც გადაღრღნიდა. ძაღლი იღრინებოდა, რადგან რაღაცას ჰგრძნობდა, მაგრამ არ ეჩხუბოდა, რადგან მიწაზე ეყარნენ და ადგომას არ აპირებდნენ. ორიოდე წუთის შემდეგ სამივენი მორჩილად ისხდნენ, ხელები ისევ ზურგზე ჰქონდათ დაწყობილი და დალი ჰასანის დაბრუნებას ელოდებოდნენ, რომელიც თავის მხრით ვიღაც თათარ მუშტრის მოსვლას ელოდებოდა. ის თათარი უკვე შეპირებული ჰყავდა და ტყვეები ამ კომბლში უნდა ჩაებარებინა. არსენამ ძლივს გაათავა ოსტატის დარიგება, რომ ჰასანაც შემოვიდა, თან თათრულად იღრინებოდა იმის გამო, რომ მუშტარმა დაიგვიანა. კარგა ხანს ტრიალებდა მოშმორებით, ხშირად იხედებოდა გარეთ, მაგრამ ტყვეებს ახლოს არ ეკარებოდა და შეყენებულ დამბაჩას ხელიდან არ უშვებდა.

მერე არსენას მოუბრუნდა და უთხრა:

— ზმობილო, შენ უბრალო კასი არა ხარ, შენისთანა სხენი გურჯისტანში არავის არ ეყოლება. რამდენს მომცემ, რომ გაგიშვა?

— ერთ აბაზსაც არ მოგცემ.

— ზმობილო, შენ უბრალო კასი არა ხარ. ისის. ვივაჩროთ.

— არც მე გეხუმრები. ჯერ ხელები გამიხსენი და მერე ვივაჭროთ.

— მე გიჟს მეზახიან, მაგრამ მართლა გიჟი ნუ გგონივარ, მართალი თქვი, ვინა ხარ, სადაველი ხარ? დანარჩენი მე ვისი.

— მეც ვიცი, ჩემ ნათესავებთან წახვალ და თითისტარსაც აღარ შეარჩენ, განა!

— მაშ ზესხლით გათქმევინებ!—და მუვუზლის ასაღებად დაიკუზა.

არსენამ ისე ისკუპა, თითქო ხრახნილებზე იჯდაო. ჯუჯა თათარი უმალვე ქვეშ ამოიდო, მაგრამ იმავე წამს ზურგზე ძაღლის მძიმე ტორები და მწვავე კბილები იგრძნო, დანარჩენიც ერთ წუთში გათავდა. ოსტატმა ძაღლი კატასავით აიტაცა, უსახო სიმონიც ფეხებში მისწვდა და უმალვე გაჰგუდეს. არსენამ კი დალი ყაჩაღი მისივე თოკით შეჰკრა, კუთხეში მიაგდო, ზედ დამხჩვალი ნაგაზი დააგდო და უთხრა:

— დალი ჰასან, მე თვითონ გახლავარ არსენა.

— ვალლაჰ, მართალს უნდა ამბობდე,— მოიკვნესა თათარმა.

— წეღან გითხარი, არსენას ნუ დასდევ, თორემ თვითონვე დაგიჭერს მეთქი.

— ვალლაჰ, ეგეს მართალი გითქომს.

— ისიც გითხარი, არსენა უკვე დაჭერილია და შეკრული ზის მეთქი.

— ვალლაჰ ეგეს მართალია. დაჭერილი მკავდი და აქვე იჯექი.

— ჰარამზადავ, ეხლა ყური მიგდე. თითქმის წელიწადია წუნკალ საქმეს სჩადიხარ.

— ვალლაჰ, ეგეს მართალია. მე თვითონას მომისხიდა.

— მაშ ხელი აიღე.

— ალლაჰს ვფიცავ; ამიღია. მაგრამ სად საიდე? ოსმალეთში? სპარსეთში? ვიყავი და უკანვე გამოვიქეცი, უსხო ხალხია, არ მომსონს, არ შემიზლიან. გურჯისტანი ჩემი ქოყანაა და აქედან არსად არ საველ. შინას ვერ დავბრუნდები, დამიჭერენ და სამ დღეში ჩამომახრჩობენ. შენი ვაუკასობა რომ ვაგიგე, ვთქვი: დალი ჰასან, არსენასთან სადო მეთქი, მაგრამ ვიფიქრე, არსენა შენისთანა ყაჩაღს არ ენდობა მეთქი.

— ღმერთმანი, სწორედ გიფიქრია.

— აგრეა.—განაგრძო ყაჩაღმა.—აბა ეხლა რაღა გითხრა, რა ფიცი მოგცე? ან რა დაეჯერება თოკით შეკრულ კაცს? ხალხს იჭერს და ჰყიდის, ეხლა კი თავზე მკვდარი ზაღლიც დააგდეს. ვაი სირცხვილო!

არსენამ ოსტატს თვალი უყო. მან ძაღლი გადააგდო, სიმონამ კი სთქვა:

— ძმაო არსენ, აჩქარდით, თორემ საცაა იმის ამხანაგები მოვლენ და ისევ გაგვთოკავენ.

— მოვიდნენ,—უპასუხა ოძელაშვილმა,— ისინიც იმას წაიღებენ, რაც ამან წაიღო.

— მოვიდნენ.—დინჯად უპასუხა გამხიარულებით მოხუცებულმა უკრაინელმაც, რომელსაც თათრის მოკლე დამბაჩები, თოფი და ხანჯალი ეჭირა სათამაშოსავით და ლამობდა ერთი მტკაველი დაყირავებული ულვაშები როგორმე აეყირავებინა.

არსენამ ოსტატი ღიმილით წააქეზა. წამოსჯდარმა თათარმა გულწრფელად წამოიძახა:—ვალლაჰ, თუ მოვიდნენ, მეს ვესვრი თოფს. ზმაო არსენ, შენი ვარ და სამიყვანე.

—ყური მიგდე, ჰასან,—უთხრა არსენამ და მის წინ ჩაკუნტდა, თანაც სიტყვა „დალი" აღარ დააყოლა.—ყური მიგდე და დაიხსომე. მე ადვილად შემიძლიან შენი ამხანაგებიც გავაბა მახეში, როგორც შენ გაგაბი, და ყველას რიგრიგად ყელი გამოვჭრა. ღმერთიც შემიწყალებდა და კაციც მაპატიებდა.

— ვალლაჰ მართალია.

— ან შემიძლიან ისინიც და შენც შულავერში მდივანბეგს მივგვარო.

— ვალლაჰ სულ ადვილია.

— მაგრამ მე არც თქვენი დახოცვა მინდა და არც მდივანბეგის ნახვა, კისერიმც მოუტეხია! არსენას თავის სამართალი აქვს და მე ასე გადავჭერი: შენ აქ დარჩები და შენს ამხანაგებს ტყვეების ჭერაზე და გაყიდვაზე ხელს აალებინებ.

— ყურან აჰკი, შევასრულებ!

— მერე აქაურ ყაჩაღებს დაუვლი და ლარიბების ჩაგვრაზე იმათაც ხელს აალებინებ.

— აგრე იყოს.

— ჩემი სახელიც გამოიყენე და გადაეცი, თუ კიდევ გავიგე საწყალი ხალხის ჩივილი, თრიალეთიდან ჩემს ქორ-ბიჭებს გამოვაფრენ და იმ წუნკლებს თავიანთ გაჩენის დღეს ვაწყევლინებ.

— იავაშ ყარდაშ! რა საჩიროა ბიჩები!— და შებოჭილი თათარი ზეზე წამოიჭრა.— დალი ჰასანი აქ არ არის? შენი სიტყვა და ჩემი ხანჯალი!

არსენამ გაუღიმა, რადგან იცოდა, რომ ამ ყაჩაღის ბრძანებას უმალვე ხანჯალი მისდევდა, გაუღიმა და უთხრა:

— ეგ მერე იყოს. ეხლა კი მითხარი, ვინ მოგყიდა ეს ხალხი?—და ნატყვევარებზე მიუთითა.

— ელიზბარ მალალაშვილმა.

— სხვა დროსაც გაუყიდია?

— ზალიან სოტა. სულ ოსდახრა კასი მომყიდა.

— ოცდაცხრა ცოტაა? ეხლა სად არის ის ურჯულო, წერაქვში თუ სადახლოში?

— დღეს დილით სერაქველები აიკლო და ისევ ომში სავიდა. ზოგი ჯოხით ასემინა, ზოგი დაიჭირა და შულავრის სიხეში გაგზავნა და ზოგსაც საქონელი საართვა და გაუყიდა, რადგან ლალას არ მაზლევენო.

— მაშ კარგი. მე ბორჩალოში აღარ მოვიცდი და ჩემ გზას დავადგები. სიმონ, ჰასანას ხელ-ფეხი გაუხსენი, შენ კი, ჩემო ჰასან წელანდელის გარდა აი რას გავალებ: ყველა აქაური გლეხები ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარი, მხნედ იყავით, თქვენი მოსარჩლე მე და არსენა ვართ-თქო და თავი არავის არ დააბრიყვებინოთ-თქო. მერე იმ ელიზბარის დედას და შინაურებს ჩემი სახელით გადაეცი, რომ ის გლეხები სამ დღეში გამოასყიდინეთ და წართმეულიც დაუბრუნეთ-თქო, თორემ...

— თორემ ვისი, დანარჩენი მეს ვისი.

— ჯერ არ გამითავებია: ელიზბარს ტყვეების გაყიდვაზე ჩემი სახელით შენ უნდა აალებინო ხელი, თორემ...

— თორემ ქიასარაშ!—ყელს გამოვჭრი!— შესძახა თათარმა და ისე გაავლვა მიმინოსებური თვალები, თითქოს ელიზბარი აქ მდგარიყო და მართლა მოსაკლავად მიეწვიოს.

— დაიცა, ჰასან. რამდენჯერმე გითხარი, ჩემი სახელით გადაეცი და გააკეთე მეთქი. შენ ყველას ყელის გამოჭრას უპირებ, მე კი ჯერ არავინ არ მომიკლავს და არც ვაპირებ მოვკლა.

— არ მოგიკლავს? გაშრა გაოცებით დალი ჰასანა.—ჯერ არ მოგიკლავს? მაშ.. მაშ როგორ გაიკეთე ეგ სახელი?

უსისხლო სახელი ბორჩალოელ ყაჩაღისთვის მართლა გაუგებარი რამ იყო. მკვდის ძალას ატანდა და ლამობდა მშრალი წყალი ან ცივი ცეცხლი წარმოედგინა, მაგრამ ვერ დასძლია. არსენამ რომ ჰასანი არ მოჰკლა და არც კი დასაჯა, ეს გასაგებიც იყო და სამართლიანიც, ხოლო ყოვლად შეუსმენელიც იყო და უსამართლოც, რომ გავარდნილმა არ ამოჰხოცოს ყველა მტრები, არ გადასწვას მათი სახლ-კარი და არ გაატიტვლოს ყველა მგზავრიც და არა მგზავრიც, ვისაც კი შალვარი ან კაბა აცვია.

— გაიგე რა გითხარი?—ჰკითხა მარაბდელმა.

— გავიგე.—იმ კატასავით ჩაიკნავლა ჰასანმა, რომელსაც ხორცის ჭამა აუკრძალეს.

— წეღან გითხოვდი, წამიყვანეო. საქმე მაჩვენე, ლირსი გახდი და წამოდი. აბა, ეხლა კი მშვიდობით იყავი.

— დაისა! იავაშ ყარდაშ!—და თათარი ოსტატს ეცა.—ეს იარაღი მე დამიტოვეთ, თორემ ჩემ შესაფერს აქ ველარ ვიშოვი.

არსენამ უკრაინელს გადახედა, და კამეჩი გაახსენდა, რომელსაც ჯიბის დანა დაჰკიდეს. გაიცინა და უთხრა:

— ასტაპ, მიეცი, შენს შესაფერს ხვალვე გიშოვი.

უკრაინელი აიმრიზა, მაგრამ ჯუჯა იარაღი ისევ ჯუჯა თათარს დაუბრუნა.

არსენამ ლურჯა სადავით წამოიყვანა და დალმა დაეშვა. გვერდით ორი ახალი მეგობარი მისდევდა, მესამე კი,მეტად დაოსებული ქვიშხელი სიმონა, ლურჯაზე იჯდა. დალი ჰასანმა არსენა შულავრის წყლამდე ჩამოაცილა, კინაღამ ატირდა და გაბრუნდა.

მიხ. ჯავახიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსეთი წარსულში



„9 იანვრის" სისხლის კვირა. დემონსტრანტების დახვრეტა პეტერბურგში.

## 38.408—ვუძღვნი ჩემს მანდატს

მაშინ მთა-გორად ზამთარი იდგა —
ნიადაგ თოვდა...
და ძირს ეწყო თოვლის ფანტელი.
სოფლად ამბობდენ:
ზვავთა რგოლი გოლიათს მიგავს,—
ზვავებმა მთაზე დააყენა
კორიანტელი!..

— გზა შეკრულია!
გუდაურზე ზვავი ალბად სცემს...
— გზა შეკრულია! —
ვერ დავრჩებით ჩვენ ხომ კარ-შიგნით!—
— ამხანაგებო! დავჭრილივით
მთა, თუ ბარბაცებს —
გზას მიიკვლევსო მომავლისკენ
ახ.-კომკავშირი!..
— ამხანაგებო, მაშინ მართლაც
დადგა ზამთარი.
ჩვენ-კი გულდაგულ შევუდექით
საქმეს ბურჯებად; —
კომუნიზმისთვის იბრძვის სოფლად —
ახდენს ცვლილებებს,—
ერთმანს უგზობით უმანდატო
ხევის უჯრედი!..
...და როცა ჩადგა
გაზაფხული რიგში.
მოკლე თვე,
როცა გადიმტვრა —
ვერ დავრჩებით ჩვენ ხომ კარ-შიგნით—
ენტუზიაზმით გუდაურზე
ზვავი მოვკვეთეთ
და გზას მიიკვლევს მომავლისკენ
ახ.-კომკავშირი!..
უჯრედში მოდის საჩუქარი —
მანდატის გროვა.
გულიც მანდატად დაწერილა
ახალ ბურჯების —
— მე ჩამაყენა საქმემ რიგში:
38.408...
ახალ შეტევებს სოფლად ახდენს
ჩვენი უჯრედი!..
— გზა გაჭრილია!
გუდაურზე ზვავი აღარ სცემს...
გზა გაჭრილია!
ვერ დავრჩებით ჩვენ ხომ კარ-შიგნით,—
— ამხანაგებო!
დახავსებული მთები ბარბაცებს —
და გზას მიიკვლევს მომავლისკენ
ახ.-კომკავშირი!..

ალექსანდრე გომიაშვილი.

## „მშვიდობა" კაპიტალისტურ ქვეყნებში დღეს



რამოდენიმე ხნის წინად ნიუიორკში მოხდა მრავალათასიანი ხალხის დემონსტრაცია, რომელიც გამართულ იქნა სასამართლოს დადგენილების საპროტესტოდ. ეს დადგენილება მუშებს უკრძალავს გაფიცვებს და დემონსტრაციებს. დემონსტრაციას თავს დაესხა პოლიცია, მრავალი გალახა და მრავალი დააპატიმრა. სურათზე — პოლიცია ჰფანტავს დემონსტრანტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ამერიკანკა“





დეკემბრის თვეში საქ. სახკინმრეწვმა გამოუშვა ტფილისის კინო-ეკრანებზე დიდი მხატვრული სურათი „ამერიკანკა“.

სურათის თემას შეადგენს ბოლშევიკური ცენტრალური, არალეგალური სტამბის მუშაობა ცარიზმის დროს 1905 წელში. „ამერიკანკა“-ს სცენარი დაწერილია ძველი ბოლშევიკის გიორგი სტურუას მიერ, რომელიც თვითონ მონაწილეობდა იმ დროინდელ ამბებში, დადგმა ეკუთვნის ახალგაზრდა კინო-რეჟისორს ლეო ესაკიას.

სურათი აგებულია დოკუმენტალურ ფაქტებზე და მემუარებზე და გაკეთებულია 1905 წ. 25 წლის იუბილესათვის. მოსკოვში მთავარ სარეპერტუარო კომისიაში სურათმა მიიღო 2-რე კატეგორია, რაც უნდა ჩაითვალოს ახალგაზრდა რეჟისორის და სახკინმრეწვის მიღწევად. ოპერატორია ს. ზაბოზლაევი. მთავარ როლებში არკადი ხინთიბიძე, შაქრო ბერიშვილი, ა. ლითანიშვილი და ქ. მდივანი.

საჯარო ბიბლიოთეკა







# ნატახტარის წყალსადენი



ნატახტარის წყალსადენის მუშაობის სხვადასხვა მომენტები.

ნატახტარის წყალსადენის მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. წყალსადენის მალე დასამთავრებლად მუშაობა სწარმოებს ორი მხრით—თბილისიდან და ნატახტარიდან. სამუშაოებში ჩაბმულ მუშებს შორის გაშლილია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა.

არხი ითხრება 6 მეტრის სიღრმეზე რბილ თიხნარში, რაც ჰქმნიდა მიწის ჩამოწოლის საშიშროებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

ახალი წყალსადენის მთელ მანძილზე, 24 კილომეტრი, ასაფეთქებელი მუშაობა სწარმოებდა მხოლოდ ორ ადგილას—ერთი მთავარ აუზთან, მეორე ზაჰესის რაიონში, ზედაზენის მონასტერის ახლოს—გვირაბის გასათხრელად.

გასული წლის დეკემბერში მილების ჩაწყობაში ადგილი ჰქონდა ჩაშლას, რადგან არ იყო საკმაო რაოდენობის ცემენტი. მაგრამ ინჟ. დიასამიძის და მთელი მუშების ენერგიული მუშაობით მდგომარეობა გამოსწორდა.

ამჟამად დიდი თოვლის გამო სამუშაოები შეჩერებულია, მაგრამ როგორც კი ამინდი გამოსწორდება სამუშაოები მაშინვე განახლდება, რის შემდეგ აღარ შეჩერდება, რადგან აღარ იქნება შემაფერხებელი მიზეზები. მთავარი დაბრკოლება—ცემენტის ნაკლებობა — აღმოფხვრილია. ცემენტს მიაწოდებს კასპის გიგანტი.

მიმდინარე წლის დასასრულს თბილისის მშრომელები მიიღებენ წყაროს წყალს.

# დამკვრელი ტემპები

შრომის ალმურმა მკერდი გაზინთა
ძარღვთა ხვეული გვივლის ღვედებად.
გამარჯვებები მოდის დაზგიდან
დამკვრელი წელი ცეხებს ედება.
პანიკიორებს გული გაუტყდათ
გაუნადგურდათ ბნელი ზრახვანი.
ტემპები უტევს —
ტემპები ურტყამს —
მოდის ბრიგადა ახალ-ახალი.
მშენებლობისთვის დღენი გავთელეთ
დღემ გამოგვგლიჯა ძალა ულევი.
ინდუსტრიალურ ბორბალს მართავენ
ინდუსტრიისთვის დაძარღვულები.

შევცხორცებია ყოფა მუშური
დამკვრელთ ძალღონეს ქარხნებში ვგზავნით.
ვინ დარჩენილა წარბმოღუშული
დღევანდელობით გულგანაბზარი.
დაზგა მოძრაობს, დაზგა: მეტყველი
საამქროებმა მიღწევა მოგვცეს.
იყოს გულმრუდი და დაზგის მტერი,
ვინც იორგულოს და დაზგებს მოცდეს.
ნაკლთა მხილებას ბევრი გაურბის
ზოგი ზმორებით დღეებს მიათრევს.
ჩვენი ეპოქა ლეგენდარული
გაანადგურებს გულუჯიათებს.

აღმშენებლობამ ჩაკლა წარსული
ვერ შეგვაშინებს ზრახვები მგლური.
ჩვენი სიტყვა და ჩვენი პასუხი —
იქნება მუდამ ბოლშევიკური.

ჩვენ უზრუნველვყოფთ:
— 4 წელში 5 წლედს —
ბოლოს მოუღებთ მეშჩანურ ხითხითს.
ტემპები ურტყამს —
ტემპები უტევს —
გულგასენილებს დავარტყათ რიხით.

პ. გიგიბერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თებერვლის ღამეს*)

— გამიშვით, საჩქარო საქმე მაქვს!— მთელი ძალღონით ვაწვები რევოლიუციონურ კომიტეტის კარს, მაგრამ წინ რაზმელი მეღობება და მაგარი ხელით მაჩერებს.

— სხდომაა, ამხანაგო, არ შეიძლება!

დერეფანში ოთხი კურსისტკა ჩამწკრივებულა კედელთან. ქვითინებენ და წითელი ყელსახვევებით იწმენდენ ცრემლებს.

— სანდრო, უბედური სანდრო!

—რა, უკვე მოკვდა?—ზარდაცემული შევცქერი ხან ერთს, ხან მეორეს.

— უარესი, უარესი...

— სანდრო პროვოკატორი, სანდრო მოღალატე!..

— ვაი სანდრო, სანდრო!—გაბმით ქვითინებენ და იკაწრავენ სახეებს.

რაო? როგორ თუ პროვოკატორი? ხომ არ გაგიჟდენ! არა, ეს სიცრუეა, თვით პროვოკატორები ავრცელებენ ამ ხმას! დამარცხებული მტერი ჩვენზე შურს იძიებს?! ჩემზე უკეთესად ვინ იცის მისი ამბავი. ჩხრეკა, დევნა, ფარული მუშაობა,—მარტო უკანასკნელ თვეს სამჯერ დაგვესხა პოლიცია...

რევოლიუციონური კომიტეტის წინ მღელვარე მიტინგია. აივანზე, დაჭრილი ჟანდარმთა პოლკოვნიკი, ფერწასული ჯერ-ჯერით ასახელებს პროვოკატორებს:

— ამ სიაში არ შედის სტუდენტი სანდრო ბერიკაული, რომლის სახელს ოხრანკის საქმეებში და მიმოწერაში ვერ შეხვდებით, ის დაკავშირებული იყო პირადათ ჩემთან და მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებს ასრულებდა. მისი მეორე სახელი იყო „ჩორნი“.

— სტყუის, საზიზღრად სცრუობს, ხედავთ როგორ აშკარად აჭუჭყიანებს ამხანაგ ბერიკაულს; აივნიდან აღშფოთებით იძახის ლიდია რუსაკოვა, რომელიც რევოლიუციონურ კომიტეტის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრია.

— სტყუის, სტყუის... გუგუხებს აღელვებული ზღვა და ტალღები აივანს წალეკვას უპირებენ.

მეც აქ ვდგევარ უაზროდ გარინდული... ხალხის მერიდება, მრცხვენიან, თითქოს რაღაც დანაშაული მიმიძღოდეს, ან პროვოკატორთა სიაში ჩემი გვარიც ამოეკითხოთ.

— სტყუის, სტყუის!—გუგუნებს ხალხი. ჰე კი იჭვის ეკლები შემისხდენ ტვინში და ნელნელა მჩხვლეტენ.

იქნებ არ სტყუის და მართალია?

უეცრად მაგონდება: საკატორღო ციხეში ერთ-ერთ კამერაში სამი პროვოკატორის სახელი რომ სწერია. მათში ერთი სტუდენტი ურევია, სწორედ ის, რომელმაც გასცა ამხ. ხომასურიძე.

თითქოს რაღაცას მივაგენ. გულიდან სიმძიმე მეყრება.

თუ ის სტუდენტი სანდრო არ არის, მაშინ ჟანდარმთა პოლკოვნიკი აშკარად სტყუის.

— ამხანაგო თავმჯდომარე სიტყვა მომეცით!

— რის შესახებ ამხანაგო?

— საქმის შესახებ. იმის შესახებ, რაზედაც თქვენ ლაპარაკობთ!— ნერვიულად ვეუბნები.

სიტყვას მაძლევენ. აივნიდან ქვებივით სათითაოდ ვისვრი:

— ამხანაგმა მაღლელმა მითხრა. საკატორღო ციხეში— მის კამერაში სამი პროვოკატორის სახელი სწერია. ეს სახელები ამხ. ხომასურიძემ სიკვდილის წინ კედელზე რკინის ნატეხით ამოთხარა: იმ სამში ურევია ერთი იმათგანი, რომელმაც ამხ. ხომასურიძე გასცა. ამხანაგებო, თუ მაღლელი სანდრომ არ მოჰკლა, მაშინ ჟანდარმთა პოლკოვნიკი აშკარად სტყუის:

— სტყუის, სტყუის!—ზღვამ ისევ დაიგუგუნა.

ლიდია რუსაკოვა ტელეფონისკენ გარბის. ხალხი ღელავს. ელიან რას იტყვის ტელეფონი.

ლიდია ნერვიულად არაწკუნებს ზარს: სასწრაფოდ შემიერთეთ საკატორღო ციხეს. უფროსია? რევოლიუციონური კომიტეტი გელაპარაკებათ. ამხანაგო უფროსო, ხომასურიძესეულ კამერაში, კედელზე სარკმელთან სამი პროვოკატორის გვარი სწერია. ეხლავ ამოიკითხეთ და დაგვიძახეთ. ტელეფონთან გელით. ფრთხილად, გვარები არ შეგეშალოთ.

ოთახში სიჩუმის შრიალია. ყველა სულგანაბული ელის ტელეფონის პასუხს. გარედან ყრუ გუგუნი ისმის.

პასუხის მოლოდინში ლიდია ეჭვით გალესილ თვალებს მიმიზნებს!

— ამხანაგო გაფრინდაული, თქვენ ეს როდის გადმოგცათ მაღლელმა!

— პირველ ღამესვე, მარხილში, როდესაც საილისაკენ მივდიოდით.

— მერე ამხანაგ ბერიკაულს საიდან შეეძლო ამის გაგება?

— თუ ის მეეტლე სანდრო იყო, ცხადია გაიგებდა!

ეტყობა ციხიდან უკვე ლაპარაკობენ. ფერმიხდილ ლიდიას თითებში მოუსვენრათ კანკალებს ტელეფონის მილი. ძლივს იმეორებს სახელებს. —პირველი გენრიხ მეიერი, მეორე—ალექსანდრე ჟუკოვი, მესამე— სტუდენტი სანდრო ბერიკაული.

აკანკალებული ლიდია ველარ ასრულებს გამეორებას და ტელეფონის მილს ცივათ უშვებს ხელიდან...

მიტინგის თავმჯდომარე ისევ აივანზეა.

— ამხანაგებო, საბოლოოდ დადასტურდა: სანდრო ბერიკაული პროვოკატორია. მან გასცა ჩვენი საუკეთესო ამხანაგები და როდესაც რევოლიუცია მოვარდა, მეეტლეს ნილაბით დაძრწოდა ქუჩებში სხვა პროვოკატორებთან და პოლიციელებთან ერთად.. მან დასჭრა ოხრანკის უფროსი თავის მოღალატეობის დასაფარავად, მან მოჰკლა კატორღელი ამხანაგი მაღლელი, რომელსაც ეტლში შემთხვევით ყური მოჰკრა ამხ. ხომასურიძეს სახელს. ამხანაგებო, სანდრო ბერიკაული ნამდვილად პროვოკატორია!

თავმჯდომარემ სიტყვა დაასრულა და მღელვარე ზღვაში გაქვავებული დუმილი ჩამოვარდა. თითქოს უზარმაზარი ზარი მოსწყდა სამრეკლოს და ნამსხვრევებად იქცა.

მაშ ასე: სანდრო ხელმძღვანელობდა ესერების მთავარ ორგანიზაციას, „ჩორნი“ მას კვალ და კვალ მისდევდა და ანგრევდა. სანდრო აწყობდა ფარულ სტამბებსა და იარაღის საწყობებს—„ჩორნი“ ამ სტამბების და საწყობების კარებს ჟანდარმებს უხსნიდა, სანდრო რევოლიუციურ ბრძოლაში იზიდავდა ახალგაზრდა მუშებსა და სტუდენტებს, —„ჩორნი“ მათ სახრჩობელაზე გზავნიდა...

—:—

ერთ დღეს ქალაქში უცნაური ამბავი გავარდა:

ბერიკაული გაქცეულა. საავადმყოფოს მეოთხე სართულიდან დარაჯს თოკით ჩაუშვია კედელზე. კედელთან ქალის ხელთათმანი უპოვიათ.

არავის სჯერა: სად გაიქცეოდა დაჭრილდაფლეთილი კაცი?

მაგრამ სანდრო ეტყობა ნამდვილად გაიტაცეს ციხიდან, რადგან მეორე დღეს ის საკატორღო ციხის კედლებში აღარ აღმოჩნდა.

ამბობენ: სანდრო შეყვარებულმა ქალმა იტაცა. ხელთათმანი მოაქვთ საბუთად.

კიდევ ბევრ ვარიანტს ამბობენ...

მთელი ქალაქი გადააბრუნეს. მთელ კვირას ეძებეს, ყველა კუთხეში და კუნჭულში, მაგრამ ამაოდ. არსად, არავითარი კვალი, თითქოს მიწამ შთანთქა.

და წავიდა, დაიკარგა კაცი...

—:—

მას შემდეგ მთელი ათეული წელი გავიდა. მიწისძვრების გრძელი მანძილი უდიდესმა ამბებმა ამოავსეს. შთაინთქა უზარმაზარი კუნძულები და ახალი მწვერვალები აღიმართნენ სივრცეში.

ვისღა ახსოვს სანდრო. 1917 წლის თებერვალი, რევოლიუციურ ინტელიგენტების პათოსიანი მჭერმეტყველება და ესერი ქალების წითელი ყელსახვევები!

ამ დავვიწყებულ ამბავს არც მე გავახსენებდი ჩემს მეგობრებს, თუ არა ლიდიას წერილი, რომელიც ამ დღეებში მივიღე.

ყველას ახსოვს: ლიდია ჩვენს ქალაქში რევოლიუციურ კომიტეტის თვალსაჩინო წევრი იყო. ეხლა კი მან რევოლიუციის ქარიშხალში დაღლილი ხომალდი მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში დაასვენა, სადაც ჩუმად და პატიოსნად მოღვაწეობს ვითარცა ექიმი.

მაშინ დაჟინებით ლაპარაკობდენ, რომ სანდროს ციხიდან გაქცევა ლიდიას მოწყობილი იყო. ამ ხმების გამო ის ძლიერ სწუხდა და ჩემთან ქალის ნამდვილი ცრემლებით იტირა რამდენჯერმე...

მაგრამ სჯობია წერილს მოვუსმინოთ:

„სალამი ლეოს!

ამ წერილის შინაარსი შენთვის სრულიად მოულოდნელი იქნება. მოხდა საოცარი შემთხვევა. ამდენი წლებით კვალდაკარგული სანდრო უეცრად ისევ გამოჩნდა ჩემი ცხოვრების ცაზე, მაგრამ ისევ მალე და სამუდამოდ გაქრა.

აი ეს ამბავიც.

ერთ დღეს კლინიკაში ვმორიგეობდი და პალატების დათვალიერების დროს სრულიად შემთხვევით ჩემი ყურადღება მიიქცია ავადმყოფმა, რომლის თვალებმა ნაცნობი ცეცხლით შემომანათეს. თვალი დაუმიზნე. ავადმყოფს, ეტყობა, ეს არ მოეწონა და ზურგი შემაქცია. მეტად ნაცნობმა სახემ არ მომასვენა... ავადმყოფთა სიაში ეს საწოლი მინსკის გვარით იყო აღნიშნული.

ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ჩემი ნაცნობი ამ გვარით ვერსად მოვხელე... ალბათ ვინმეს მივამსგავსე— გავიფიქრე, მაგრამ მეორე დღეს, როდესაც ავადმყოფს კვლავ დავაცქერდი, გულში ისევ მოუსვენრობა ჩაჯდა.

ავადმყოფს ტროპიკული მალარიის შხამი მოერია და იიდი სიცხე მისცა. მასთან მუდმივ მორიგეობდნენ ექიმები, ავადმყოფობა საშიში ხდებოდა.

ერთ დღეს ამხანაგმა ექიმმა მითხრა, რომ ავადმყოფმა მის მორიგეობაში, სიცხიან ბოდვის დროს რამდენჯერმე ახსენა ჩემი სახელი და გვარი. ის ვიღაცას უბრძანებდა ჩემს დაპატიმრებას და დახვრეტას.

— ლიდია რუსაკოვა საშიშარი მავნებელი და კონტრ-რევოლიუციონერია, უნდა დახვრიტოთ.—ასე ყვიროდა თურმე და ნერვიულად ბორგავდა.

გავოცდი და კიდევ უფრო დავინტერესდი.

ავადმყოფს ჩემს გონებაში მოვხსენი ქრისტეს შავი წვერი და ძირში მოპარსული თავი ხუჭუჭა თმით შევუმოსე: ჩემს თვალწინ სანდრო ბერიკაული გამოიკვეთა.

სანდროა, რა ლაპარაკი უნდა, ნამდვილად სანდროა. ეს ხანჯალივით გალესილი თვალები მაშ სად მინახავს!

მაგრამ ეს გვარი რას ნიშნავს! სად ბერიკაული და სად მინსკი!..

სამი კვირის განუწყვეტელმა ფხიზელმა მკურნალობამ გასჭრა და ავადმყოფი მალე მომჯობინდა.

ერთ საღამოს, როდესაც პალატაში სრულიად მარტო იყო, გადავწყვიტე მასთან გამოლაპარაკება და გაბედულად შევაღე კარი. აშკრად შევატყე: მას ჩემი სტუმრობა არ ეამა, თვალები ჭერს მიაბჯინა. მაგრამ მე მაინც უკან არ გამოვბრუნდი.

— უკაცრავად, თქვენ სანდრო ბერიკაული ხომ არ ბრძანდებით?

— ვინ ბერიკაული, არაფერი მესმის, ჩემი გვარი აი საწოლის თავით სწერია.

— ბოდიშს ვიხდი, მე ერთს ჩემს ნაცნობს მიგამგზავსეთ.

აი მთელი ჩვენი საუბარი სიტყვა-სიტყვით.

გავწითლდი და ცივი პასუხით გზამოჭრი-

---

*) იხილე „დროშა“ №№ 23, 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი უკან გამოვბრუნდი. აშკარაა შეცდომა მომივიდა.

დერეფანში დიდხანს ვიდექ გარინდული: ნუ თუ სანდროს მივამგზავსე სრულიად უცხო, უცნობი კაცი!

ავადმყოფი კლინიკიდან წავიდა. ხუთი—ექვსი დღე არ იქნებოდა გასული, რომ ერთ დღეს ბინაზე მეწვია სახ. პოლიტსამმართველოს რამდენიმე თანამშრომელი და ხანგრძლივი ჩხრეკის შემდეგ გამომიცხადეს, რომ მე დაპატიმრებული ვარ.

ბრალდება? გაოცებული შევეკითხე.

— იქ მოგახსენებენ?— ზრდილობიანად მიპასუხეს.

ათი დღის შემდეგ მართლაც მიპასუხეს. გამომძიებელმა დაწვრილებით გადმომცა საქმის ვითარება. მთელი ბრალდება 1917 წ. თებერვალს უტრიალებდა.

თქვენ დიდი დანაშაული გბრალდებათ: როგორც მოწმეთა ჩვენებიდან და სხვა უტყუარ მასალებიდან ირკვევა, თქვენ ყოფილხართ საყვარელი ცნობილ პროვოკატორ სანდრო ბერიკაულის, რომელიც 1917 წლის მარტში გაანთავისუფლეთ ციხიდან, თუმცა შემდეგ ის მაინც დახვრიტა სამხრეთის ფრონტის წითელმა სარდლობამ. პროვოკატორ ბერიკაულთან ერთად ოხრანკაში მუშაობდით თქვენც.— დაასრულა გამომძიებელმა.

— ესე იგი?

— ესე იგი თქვენ ბრალათ გედებათ პროვოკატორობა!

სრულიად სერიოზულად გამიმეორა მან.

საშინელი ბრალდებით შეურაცხყოფილმა უარი განვაცხადე გამომძიებლისათვის ჩვენების მიცემაზე.

— ტყუილად სცხარობთ,— მიპასუხა მან. უმჯობესია, თუ შეგიძლიანთ თავი იმართლოთ, თორემ შემდეგ გვიან იქნება. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა სამართალს პროვოკატორობისათვის მხოლოდ ერთი სასჯელი აქვს დაწესებული.

ქალურმა გულჩვილობამ დამძლია, მაგრამ, როგორც იყო თავი შევიკავე. აშკარა იყო: ჩემთვის საგანგებოდ გამზადებულ მგლის ორმოში ჩავვარდი. საბუთების წარსადგენად ორი დღის ვადა ვითხოვე. დასტური დამცეს.

პირველი დღე უაზრო ფიქრში დავლიე. ვხედავდი: კამერის კარს იქით სიკვდილი მდარაჯობდა და უარესად ვკარგავდი აზროვნების ძალას.

ვისი ხელით მქონდა მახე დაგებული, ვის შეეძლო ჩემთვის ასეთი ცილი დაეწამებინა და ჩემი პატიოსანი მეგობრობა სანდროსთან —საყვარლობის უნამუსობით გაებინძურებინა, და ბოლოს, რაც უმთავრესია, ვისთვის იყო ყველა ეს საჭირო!

ბევრი ვიანგარიშე, ძალიან ბევრი ვეცადე არ შევმცდარიყავ დასკვნის გამოტანაში და ბოლოს ისევ იმ ავადმყოფზე შევჩერდი, რომელმაც სიცხიან ბოდვაში თვითონ გასცა თავის თავი.

—დიახ, ის ავადმყოფია სწორედ და ის ავადმყოფი, უსათუოდ სანდრო ბერიკაულია! ის უცხო გვარით შეჰკედლებია ხელისუფლებას და თავის შავი წარსულის კვალის წაშლელად ყველაფერს ანადგურებს, რაც კი ამ კვალზე გამოჩნდება! მე ის აშკარად ვიცან. მან იგრძნო ეს. თვითონ გაება მახეში და თავის გადასარჩენად ეხლა მე მომაქცია ამ მახეში.

გონება ასე ანგარიშობდა, გული კი, ულმობლად არღვევდა ამ ანგარიშს. სანდრო იყო პროვოკატორი; ვთქვათ იყო კიდეც, მერე? ნუ თუ იქამდე გაუკაცურდა, რომ თავის შერცხვენილ სიცოცხლეს შესწიროს სრულიად უდანაშაულო ადამიანი! მე ხომ ის მაშინ ცოცხალ-მკვდარი გამოვიტაცე საკატორღო ციხის საავადმყოფოდან და ეხლა ამით მიხდის სამაგიეროს?

ესეც არ იყოს ის ავადმყოფი რატომ მაინც და მაინც უსათუოდ სანდრო უნდა იყოს. განა არ შეიძლება სრულიად შემთხვევითი იყოს ამ ორი ადამიანის მგზავსება?

ორი დღე შეუნელებლად იბრძოდენ გული და გონება და როდესაც დანიშნულ ვადაზე გამომძიებელმა გამომიძახა, მე საბოლოოდ ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი რა პასუხი გამეცა მისთვის.

— აბა რითი შეგიძლიანთ თავის მართლება!

— მე სრულიად უდანაშაულო ვარ, თქვენი ბრალდება თავიდან ბოლომდე მოგონილია!

— საბუთი?

— ჯერ თქვენი საბუთი მაჩვენეთ!

მას მაშინვე გადმომილო 1917 წლის გაზეთ „იუჟნი კრაის“ მარტის თვის ის ნომერი, რომელშიც მოთავსებული იყო ცნობა სანდრო ბერიკაულის ციხის საავადმყოფოდან გაქცევის შესახებ.

— მერე რა არის?— გულმოსულმა მივახალე.

— ის ქალი თქვენა ხართ, რომლის ხელთათმანი ციხის ზღუდესთან იპოვეს!

— ესეც რომ იყოს, ჩემი პროვოკატორობა არაფერ შუაშია!

— თქვენ ერთად მოქმედებდით!

— სწორედ ეგ უნდა დამიმტკიცოთ!

— მოწმეთა ჩვენებიდან ეს უკვე დამტკიცებულია.

— მერე ვინ არის ეგ მოწმე, არ შეიძლება დამიპირისპიროთ?

აშკარა იყო: გამომძიებელთან კამათი ვულს მფხანდა, მაგრამ ბრალდების სიმძიმეს ოდნავაც არ მიმსუბუქებდა... ბევრი აღარ მიფიქრია და თითქოს ვიღამაც ხელი მკრა, ჩემთვისვე სრულიად მოულოდნელად, თვითონ დავიწყე შეტევა.

— ეს ბრალდება თავიდან ბოლომდე მოგონილია. მისი ავტორი თვით ის ბერიკაული გახლავთ, რომელთან ვითომდა კავშირისათვის მაძლევთ სამართალში.

გამომძიებელმა გაოცებული თვალები თვალებში გამიყარა და ზეზე წამოიწია. მე კი განვაგრძე.

— თქვენთვის შეიძლება ეს ამბავი სრულიად მოულოდნელია, მაგრამ ნამდვილად ასეა. მე პროვოკატორი არა ვარ, მაგრამ დამნაშავე ვარ იმაში, რომ მართლაც მოვაწყე ბერიკაულის გაქცევა საკატორღო ციხის საავადმყოფოდან. ის კი იქამდე გათახსირებული აღმოჩნდა, რომ სამაგიეროს ამით მიხდის.

— დაწყნარდით, ნუ ღელავთ!—მომმართა გამომძიებელმა.

ალბათ ჩემი ლაპარაკის კილო და გამომეტყველება არა ჩვეულებრივი იყო. იქნებ ჩემი ლაპარაკი შეშლილის ბოდვათაც მოეჩვენა, რადგან მის თვალებში შეწუხება და ჩემდამი სიბრალული ამოვიკითხე.

— მე სრულიად ნორმალური აზროვნება მაქვს,— გავაწყვეტინე მე, და რასაც ვამბობ, მისი სისწორე, ეხლავე შეგიძლიანთ შეამოწმოთ.

მოქალაქე რუსაკოვა, ბერიკაული 1919 წ. დახვრიტა სამხრეთის ფრონტის წითელმა სარდლობამ. ამის საბუთები ჩვენ გვაქვს.

— ტყუილია,— ისევ გავაწყვეტინე,—ბერიკაულის დახვრეტის ამბის ავტორიც თვით ბერიკაული იქნება. არ გჯერათ? მაშ აბა ამ ქალაქში ეხლავე მონახეთ ვინმე მოქალაქე მინსკი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინეთ გამოეწერა საავადმყოფოდან...

ეტყობა ჩემი განცხადება სრულიად მოულოდნელი იყო, გამომძიებლისათვის, რადგან მან მაშინვე შესწყვიტა დაკითხვა და უკან დამაბრუნა კამერაში.

ისევ ის ღამე იყო. კამერიდან გამომიძახეს სულ სხვა ოთახში, სადაც სრულიად უცხო კაცი დამხვდა. მხოლოდ კარგა ხნის საუბრის შემდეგ მივხვდი, რომ ის იყო ექიმი—პსიხიატრი და ჩემს სულიერ მდგომარეობას ამოწმებდა.

—ამხანაგო ექიმო,—ვუთხერ მას,—მე სრულიად ჯანსაღი ვარ, გთხოვთ ამაში დაარწმუნოთ ჩემი გამომძიებელი და თქვენც ამაოცდით ნუ შეიწუხებთ თავს.

ჩემი სიგიჟე ეტყობა არ გამართლდა, რადგან ექიმმა მალე დამტოვა.

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე დამკითხეს, მაგრამ მე მხოლოდ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი...

ბოლოს ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, გამათავისუფლეს.

მას შემდეგ აი ერთმა თვემ გაიარა და მხოლოდ გუშინ შევიტყე, რომ მინსკი ნამდვილად სანდრო აღმოჩენილა. ის ამ გვარად სცხოვრობდა თურმე ათ წელიწადს, იყო ძალიან დიდი მოხელე და ვინ იცის კიდევ რა არ მოელოდა, სრულიად შემთხვევით ხელახლა რომ არ შემხეჩებოდა ცხოვრების გზაზე.

თუ რით დასრულდა ეს მოულოდნელი ამბავი, შენ ალბად თვითონ მიხვდები, ლიდო... არ ვიცი, დამნაშავედ ჩამთვლი თუ არა!..

მე კი ვფიქრობ: მაშინ უფრო დამნაშავე ვიყავ, როდესაც გაყინულ შუაღამეში მას საკატორღო ციხის საავადმყოფოდან მახლობელ სოფლისაკენ მივაქროლებდი მარხილით, ვიდრე დღეს, როდესაც ერთად ერთი გზა მქონდა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში, სანდრო ბევრად მოიგებდა— შენი პირველივე ტყვია მისთვის სასიკვდილო რომ ყოფილიყო.

წერილის მოიწერებოდე. მეგობრული სალამით ლიდია, 30 აგვისტო, ქ. მოსკოვი.

**ილო მოსაშვილი.**



# ლიტერატურული შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობა თანამედროვე სოციალისტური რეკონსტრუქციის თემებზე მუშაობის დროს გვერდს ვერ აუხვევს რევოლუციონურ წარსულის მხატვრულ ჩვენებას. ამას ორგვარი მნიშვნელობა ექნება: ერთის მხრივ თემატიური და მეორეს მხრივ აღმზრდელობითი. მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც ვერ მოესწრო ცხრაასხუთი წლის და შემდგომი წლების რევოლუციონურ ბრძოლას, ახალი თაობა, რომელმაც თავისი ასაკის გამო ვერ მიიღო უშუალო მონაწილეობა იატაკქვეშ ბრძოლის გმირულ პროცესებში—საჭიროებს ყოველმხრივ გაიცნოს რევოლუციის წარსული. ამ მხრივ უთუოდ დადებით როლს ითამაშებს ყოველი მხატვრული ფაქტი, რომელიც ეხება ხსენებულ თემას.

პროლეტარული მწერლობის შიგნით ჯერ კიდევ ადგილი აქვს ჩამორჩენას რეკონსტრუქციის ტემპებისაგან. ეს ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს. როგორც პროზის, ისე პოეზიის ფრონტზე იდეურ გადახრების გვერდით ადგილი აქვს ფორმალურ ნაკლულოვანებებს. ეს ყველაფერი დამახასიათებელია ზრდის პროცესში მყოფ პროლეტარულ მწერლობისათვის. გასული წლის პრაქტიკამ ნათელი გახადა ის გარემოება, რომ პროლეტარული მწერლობა თანდათან უახლოვდება ლიტერატურულ ჰეგემონიას. ეს არის მიზეზი, რომ თანდათან ასე აქტუალური და მწვავე კამათის საგანი ხდება ბრძოლა მთლიანი შემოქმედებითი მეთოდისათვის. მხატვრული პლატფორმისათვის ბრძოლის დროს უნდა გარკვეული იქნეს აგრეთვე თემების საკითხი. თუ ამ საკითხის კონკრეტიზაციას მოვახდენთ კერძოდ რევოლუციონურ წარსულის თემასთან დამოკიდებულების საკითხში, მაშინ უნდა აღვნიშნოთ, რომ **პროლეტარული მწერლობა ვალდებულია იმუშაოს ათას ცხრაასხუთი წლის, ათას ცხრაასჩვიდმეტი და საერთოდ რევოლუციონურ წარსულის თემებზე.**

გვაქვს თუ არა ჩვენ ამ მხრივ სათანადო მიღწევები? ჩვენი მიზანია აქ განვიხილოთ ერთი პროლეტარული მწერლის რომანი, რომელშიაც ფართო გეგმით აღებულია ხსენებული თემა: ეს არის სევ. თალაკვაძის „ცხრაას ხუთი“, რომანი არ ისახავს მხოლოდ მიზნად რევოლუციონური წარსულის გადმოცემას, მასში წამოჭრილია აგრეთვე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემები. აქედან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პირადი და საზოგადოებრივი საქმის დამოკიდებულება, „სიყვარულის“ საკითხი, კლასობრივი ბრძოლების ზეგავლენა „ნათესაურ“ და ოჯახურ განწყობილებებზე და სხვა... ამაშია რომანის დადებითი მხარე. ყველა ამ საკითხებს ავტორი დიდი სიფრთხილით უდგება. რომანში პარალელური ხაზებით მიიმართება ერთის მხრივ პოლიტიკური მოვლენები, ხოლო მეორეს მხრივ მათზე დამოკიდებული ადამიანთა ინტიმური ყოფა. თალაკვაძე ცდილობს მოგვცეს ადამიანის, რევოლუციონური ადამიანის ფსიქოლოგია. რომანის მთავარი გმირები რევოლუციონერები არიან, ავტორი იწყებს პირველი რევოლუციის წინასწარი პირობების ახსნით, გადადის რევოლუციის უმძაფრეს პერიოდზე და შემდეგ ეხება მკაცრი რეაქციის სახეს.

მოქმედება იწყება სოფელ მუხურში. ერთი გურული გლეხის ოჯახი ზრდის შვილებს ალმასხანს, სილიბისტროს, ტარასის და დაროს. პირველი მათგანი ვაჭრული კაპიტალის პირველყოფილი დაგროვების შემდეგ ხდება დიდი ვაჭარი და ბოლოს ამ გზით შედის პროვინციის მაღალი წრეების ცხოვრებაში, სავსებით შორდება მოხუც მამას და და-ძმებს, რომელთა **დახმარებით** მან შეაქუჩა პირველი კაპეიკები. **მან** სავსებით გვერდი აუქცია გაღატაკებულ ძმების დახმარებას. შეირთო აზნაურის ქალიშვილი და ხელი მიჰყო არისტოკრატიულ ცხოვრებას. ამ ხანებში ამოძრავდა რევოლუციის პირველი ტალღები, ალმასხანის უმცროსი ძმები სილიბისტრო და ტარასი და აგრეთვე მათი და—დარო ჩაებნენ რევოლუციონურ საქმიანობაში. გარდაიცვალა მათი მოხუცი მამა. სოფელში გაჩნდენ აგიტატორები და პროპაგანდისტები. მათში აღსანიშნავია—ნესტორი, რომელსაც დაროსთან შეხვედრის შემდეგ შეუყვარდება იგი და ქალიც თავის მხრივ „უცხადებს თანაგრძნობას“. სხვადასხვა შემთხვევების და უმთავრესად ალმასხანის რეაქციონურ ოჯახის მეოხებით ჟანდარმებს ხელში ჩაუვარდება ქალაქში წასული ნესტორი. ამ ხანებში იწყება გურიაში ბოლშევიკების და მენშევიკების გამიჯვნა. სილიბისტრო მენშევიკი ხდება, ტარასი და დარო-კი აქტიური და შეურიგებელი ბოლშევიკები ხდებიან. ნესტორი ციხიდან სწერს დაროს ბოლშევიკურ წერილებს და დირექტივებს. დარო უკვე ქალაქშია. ძლიერდება რევოლუცია; აქ ხვდება თეოს, რომლის ქმარი, მენშევიკი, ციხეში ზის, ხოლო ცოლი დაროს ზეგავლენით დროებით ბოლშევიკურ იდეების ზეგავლენის ქვეშ ექცევა. სიუჟეტის ასეთ ვითარებაში ავტორი არკვევს პოლიტიკურ მოვლენებს, ოქტომბრის მანიფესტის მნიშვნელობას და სხვა.. გამოდის ციხიდან ნესტორი, ბრუნდება გურიაში.

ამ ხანებში დარო უკვე მტკიცე რევოლუციონერი ხდება. იგი მონაწილეობას იღებს ტერორისტულ აქტში, ხვდება სხვა ამხანაგებს. ავტორი ფართედ ასახავს ბოლშევიკების და მენშევიკების ბრძოლას: ფარული კრებები, მიტინგები, დემონსტრაციები, საზოგადოებრივი წინსვლა და აღფრთოვანებული ბრძოლა მენშევიკურ-ლიბერალიზმის წინააღმდეგ.

ეხლა რამდენიმე სიტყვა თვით მოქმედ გმირების რომანულ ურთიერთობის შესახებ.

დაროს უყვარს ნესტორი. მას უყვარს აგრეთვე ახალგაზრდა და ცოცხალი ნიკა. ეს ორი ძალა იბრძვის დაროს არსებაში. საბოლოოდ დარო ნესტორის ცოლი ხდება, მიუხედავად იმისა, რომ მასში მძლავრად ფესვმოდგმულია სიმპატია ნიკასადმი. ამას მოწმობს უკანასკნელი სცენა, როდესაც გადასახლებული დარო იგებს ნიკას სიკვდილის ამბავს.

რომანი აყენებს ფრიად მნიშვნელოვან პრობლემებს. ამ მოკლე გადმოცემაში, რასაკვირველია, შეუძლებელია ყველა მათი დეტალური დახასიათება. „სიყვარულის“ პრობლემა ავტორისათვის ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს. ამ საკითხებს თალაკვაძე ეხებოდა აგრეთვე თავის რომანებში: „ოჯახი“, „ბრძოლის დიდ გზაზე“. ავტორის ეს ტენდენცია სავსებით გასამართლებელია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ საკითხების მხატვრული კვლევის დროს თალაკვაძე არ ვარდება ე.-წ. ეროტიზმში, სექსუალურ გადაჭარბებაში. მას ყოველთვის ჰყოფნის ზომიერების გრძნობა. ეს არის ავტორის დადებითი მხარე.

თალაკვაძის მხატვრული მეთოდის განსაკუთრებული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყოველ ნაბიჯზე ხაზს უსვამს მოვლენათა სფეროში კლასობრივ ბრძოლის მნიშვნელობას. ეს განსაკუთრებით მჟღავნდება იმ სოციოლოგიურ სტილში, რომლითაც დაწერილია „ცხრაას ხუთის“ **უმთავრესი** ადგილები. უმთავრესი, ვამბობთ იმიტომ, რომ მასში ადგილი აქვს გადაჭარბებულ რიტორიკულ ადგილებს, რომელნიც არღვევენ და შლიან რომანის მხატვრულ მთლიანობას. ეს არის სერიოზული ნაკლი თალაკვაძის მხატვრული შემოქმედებისა. ავტორის ზოგიერთი ადგილები იქცევა ერთგვარ „პრიმიტიულ დიდაქტიკოსობად“, ამიტომ მკითხველს ასეთი ადგილები აუცილებლად მშრალად მოეჩვენება. აგრეთვე უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ რომანის დასაწყისი ძალზე „გაუბრალოებულია“ და მხატვრულობის გარეშე სდგას. „ებაასება მდინარე მუხური სოფელ მუხურს და ჰქმნის სიცოცხლეს, მოძრაობაში მოჰყავს ყოველი არსი“—ეს არ არის პროლეტარულ რეალიზმის მსოფლმხედველობა.

ავტორის ნაკლულოვანებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ზოგიერთი გმირების მოქმედების არასწორი განსაზღვრა. თალაკვაძისათვის ხშირად ადამიანის ნებას საზღვრავს **„გრძნობაზე გაშლილი ოცნება“** (გვ. 7). გრძნობის და გონების დაპირისპირება არაა დამახასიათებელი მატერიალისტური ფილოსოფიისათვის. არსებობისათვის ბრძოლა დაროსთვის „ინსტიქტიურადაა“. „ადამიანის შიგნით ინახება თურმე **იდუმალი ძალა**, რომელიც თავს იჩენს მაშინ, როცა ეს „შეგნება“ არ არის“ (გვ. 7). ასეთია თალაკვაძის შეხედულება.

კლასობრივი ბრძოლა არაა მხოლოდ შეუცნობელი სფეროს მუშაობის შედეგი. „სილიბისტროს და ტარასის გულში ისადგურებს **შეგნებული**, ინსტიქტიური კლასობრივი სიძულვილი ალმასხანისადმი“ (გვ. 15). გარდა ამისა ავტორი აღნიშნავს, რომ ღარიბ გლეხობას „ინსტიქტიურად ეჯავრებოდა... ვაჭარი ალმასხანი“ (გვ. 23).

რევოლუციონერი ნიკა საყვარელ ქალთან ალერსის დროს ფიქრობს, რომ უნდა მოისპოს ქალთა დამონება. „ეს აზრი შეგნებული არ ჰქონდა. იგი სტიქიურად ჩაესახა თავშიო“ (გვ. 266) დაასკვნის ავტორი.

„დაროს... ასე ვთქვათ, აბურთავებდა ცივი გონება და ცეცხლის მომკიდებელი გრძნობა“ (გვ. 202).

გრძნობის და გონების ასეთი დაპირისპირება „ცხრაას ხუთში“ მრავალ ადგილას ჩანს. ი. ლიბედინსკის რომანის („გმირის დაბადება“) ერთი მთავარი დეფექტი მდგომარეობდა იმაში, რომ მან გადააჭარბა ქვეშეცნობიერი სფეროს როლის შეფასებაში: ასეთივე გადახრას ადგილი აქვს თალაკვაძის რომანში. მატერიალიზმი არ უარყოფს სავსებით ე. წ. „გრძნობის“ როლს, მაგრამ ამ უკანასკნელის მიჩნევა ადამიანის ნების განმსაზღვრელად და ამ მხრივ „გონების“ შეგნების როლის იგნორაცია არაა სწორი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ავტორის მთავარი მეთოდი ასეთი შემცდარია. არა. თალაკვაძე ძირითადში ეყრდნობა დიალექტიურ მატერიალიზმის მხატვრულ მეთოდს, პროლეტარულ რეალიზმს, მაგრამ რომანის ზოგიერთი ცალკეული ადგილები ვერ არის შეთანხმებული მის ძირითად მხატვრულ მეთოდთან.

„ცხრაას ხუთი“ სასარგებლო რომანია, რომელიც გასულ წელს გამომჟღავნდა პროლეტმწერლობაში, როგორც აქტუალური ნაწარმოები. „სიყვარულის“ ახსნის დროს ავტორი არ მისდევს გაცვეთილ ხერხებს, იგი ცდილობს ამ მხრივ ყოველმხრივი ბრძოლა გამოუცხადოს „სქესის“ დეკადენტურ გაგებას: მხატვრულად „დაამტკიცოს“ ქალის საზოგადოებრივი ღირსება.

„პირადის“ და „საზოგადოებრივის“ ურთიერთობის საკითხს თალაკვაძე დადებითად სწყვეტს. ეს მჟღავნდება გმირების დამოკიდებულებაში სიყვარულთან. ისინი ყოველთვის პრიმატს ანიჭებენ საზოგადოებრივ საქმეს

თალაკვაძის რომანში მთელი თავისი სისრულით მოცემულია ბოლშევიკის ტიპი და ცხრაასხუთის რევოლუცია. ამ მხრივ ეს რომანი პროლეტ-მწერლობის აქტივში შედის

**გ. ნატროშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ბორის ძნელაძის ძეგლი

# სისხლის ღვრა თვითმართველობაში
## (ნაწყვეტი თბილისის ეპიზოდიდან)

1905 წლის გმირი ყივილი...

თბილისი ბობოქრობს...

რაღაცა ერობის შემოღებაზე დაიწყეს ლაპარაკი, კავკასიაში, ამ საქმეს მუშებიც ეცნობიან; ქალ. თვითმართველობის შენობაში ხშირად ხდება კრებები ამის შესახებ...

აგვისტოს ცხელი დღეებია...

ამავე დროს ბაქოდან შემაძრწუნებელი ამბები მოდის თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტაზე; თბილისის მუშები შეფიქრიანდნენ; საჭიროა ამ ორ მოძმეთა შერიგება.

აგვისტოს ცნობილი სისხლიანი 29 თარიღია...

მუშები საღამოს გაემართენ ერევნის მოედნისაკენ, მათ უნდათ დასწრება კრებაზე, ერობის შესახებ რომ გრძელდება; ისინი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან, მაგრამ პოლიცია არ აჩერებს: რა ერთ ადგილას იფანტებიან, ახლა მეორე ადგილს შეიყრებიან...

მოუთმენლად ელიან დარბაზის კარის გაღებას...

რეო ამხანაგებთან ერთად მიტინგზეა, მთა წმინდის გორაზე, და რა საღამო მოახლოვდა, მიტინგი გათავდა, მთელი შემადგენლობა გაემართა თვითმართველობისაკენ.

დაღამდა...

ქალაქის თავი კი არა სჩანს, არ არიან ხმოსნები; ისინი ამ დროს გენერალ-გუბერნატორთან არიან მიწვეული თათბირზე...

მთავრობა შეფიქრებულია მუშების ალევარის აწყვეტით, იგი ზომებს იმუშავებს მათთან საბრძოლველად...

კვლავ სამხედრო წესებია.

რა ქალაქის „მამები" არა სჩანან, რომ, დაპირებისამებრ, კრება გახსნან, რომელშიც მუშები, სოც.-დემ. პარ. მეთაურობით ესწრება, ამხელს ამ უსუსურ რეფორმის შემოღებას, რომელიც რუსეთში უკვე არსებობს, იბრძვის მის წინააღმდეგ, სადაც საშუალება აქვთ, ყველგან ისვრიან თავის ლოზუნგებს.

იბრძვიან, ყოველ კრებას იყენებენ თავის მიზნების გასავრცელებლად... ამდენ მოზღვავებულ მუშების მოთმინება ივსება, დარბაზის კარებს ამტვრევენ,—რა გაიგებენ, რომ ქალაქის თავი ვერმიშევი არ მოდის. ხმოსნები არ სჩანან; ალბად მთავრობის აკრძალვით, რადგან უამრავ მუშათა შეყრით შეფიქრიანდა—და კრებას ხსნიან.

თავმჯდომარე ს.-დემ. ზ. ჩიჩუა, მომხსენებელიც სოც. დემ-ტი, მსჯელობენ მთავრობის მუხანათობაზე, ხმოსანთა ორჭოფ, სოლოლაკურ პოლიტიკაზე. გადადიან ბაქოში სომეხ-თათართა შეუწყვეტელ მტრობაზე, ჟლეტაზე...

საშინელი სიცხეა. დარბაზი ვერ იტევს ხალხს—დერეფნები ივსება...

რეო ქანდარაზეა სულ ბოლოში. ეტყობა პირველად ახულა.

— გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით გთხოვთ დაიშალნით!—აცხადებს პოლიცმეისტერი ცისი, რა კარებში გამოჩნდება, კრების დაწყების ათიოდე წუთის შემდეგ.

— ძირს! ძირს!

ყვირის ხალხი, არ ემორჩილებიან; ის შეშინებული გაბრუნდება, მაგრამ ისევ შემოტრიალდება, ისევ სთხოვა დაშლა; მის ხმაში სჩანდა რაღაცა შიში. მან ალბად იცოდა ადრევე, თუ რა მოჰყვებოდა ამ ჯიუტობას.

ზოგიერთებმა იწყეს დარბაზის დატოვება, მაგრამ ჯერ ერთი დამსწრეთა სიმჭიდროვის გამო ვერ გავიდოდა, თუ წინა რიგები არ დაცლიდენ გზას, მეორე და უმთავრესად კი იმის გამო შესდგნენ, რომ თავმჯდომარემ განაცხადა:

— ამხანაგებო, ვინც კრებას დასტოვებს: ის ლაჩარია, მხდალი, მოღალატე!..

— სირცხვილი იმას, ვინც გაექცეს მთავრობის მუქარას.

— დავრჩეთ, განვაგრძოთ კრება!..

ისმის იქიდან-აქედან.

— ძირს გენერალ-გუბერნატორი!..

— ძირს ჯალათები!..

გრიალებს დარბაზი...

პოლიცმეისტერი ელდანაკრავი გაბრუნდა თავის ქნევით, მოძუნწა...

კრება განიგრძო...

ის იყო მომხსენებელმა დაიწყო ბაქოში სომეხ-თათართა შეხლაზე ლაპარაკი, რომ მერობის ირგვლივ, ყოველი ქუჩის მხრიდან მოისმა რაღაცა ყრუ გუგუნი, ცხენების გამალებული ტოტების ცემა, ღრიანცელი, და,



ს. ტეზერი (გორის ოლქი). — მუშათა ბრიგადა თესვის კამპანიისათვის სამეურნეო იარაღების შეკეთებას აწარმოებს

რეო ხედავს ქანდარიდან, თუ ყაზახები რა სიჩქარით ამოვიდენ გრძელ დერეფანში, გამწკრივდენ ორივე მხრით...

—... დაიმალენით!!!

შემოსვლისთანავე დაიღრიალა ყაზახთა ოფიცერმა და მათრახიანი ხელი ზე აიქნია.

ყაზახები მზად არიან თოფებით, ხმლებით, მათრახებით...

ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა, შედეგი ეტყობოდა კარგი არ მოჰყვებოდა...

— აბა, დაჰკარით, გარეკეთ!

უბრძანა ყაზახებს.

ხალხმა დაშლა დაიწყო, მაგრამ ყაზახები მაინც ამუშავდენ; მათრახები, კონდახები...

დერეფანში პროვოკაციული გასროლა მოხდა...

დარბაზში ხელმწიფის სურათს ტყვია მოხვდა. ალბად ეს იყო სიგნალი ყაზახებისათვის, დაიწყეს ცემა, ხოცვა უიარაღო ხალხის, ხმლებით აჩეხვა...

შენობას ალყა არტყია. გასავალი არსაითაა ხალხი ხაფანგშია მომწყვდეული...

აქეთ-იქეთ ჩამწკრივებული ყაზახებია, რომელთა შუა მიდიან კრების მონაწილენი...

და, დასცხეს...

სროლის ხმა, დაჭრილთა კვნესა. ღრიალი, ბრძანებაში ერთმანეთში ირევა..

გარედან კი რამოდენიმე ასეული თოფი გრიალებს ერთად...

შენობა ზარზარებს..

კრებაზე მრავალი ქალი იყო, მოხუცი, პავშვა, კრების ამოულეტა ეტყობა, რომ ადრევეა გადაწყვეტილი...

არავის ინდობენ...

სისხლით შეიღება იატაკი, კედლები, კიბეები...

ერთ საათამდე გაგრძელდა განუწყვეტლივ, ყოველ მხრით უშენენ...

ქალაქი ზანზარებს...

სისხლის სუნი აიზიდა...

მომწყვდეულნი სამალავებს ეძებენ: ზოგი ეზოში ჩარბის, ზოგი ლომბარდის სარდაფში; ეტაკებიან ყაზახებს წრის გასარღვევად და მეორე მესამე სართულის ფანჯრებიდან ხტებიან ქუჩაში მაგრამ გარედან მოალყენი ხოცავენ, ზედიზედ ცვივიან... ეზოდან რა ქუჩაში გასვლა უნდათ ხან რომელ მხარეს ებლებიან და ხან რომელს, ადაყაფის კარზე იფარეხებიან, რომ გამოვიდენ, გარედ მდგომი ყაზახები სიცილ-ხარხარით ხმალს მოუქნევენ და რკინის ხარიხებზე მოკიდებულ ხელებს უჭრიან თითებს, უკან ეცემიან.

ქანდარაზე მდგომთათვის კარები ჩაკეტილია: ზოგი მათგანი დარბაზში ხტება, მაგრამ ყაზახები იქვე ასალმებენ სიცოცხლეს; დარბაზის კედლებს ტყვიებით ცხრილავენ...

აჰა, რეოს გვერდზე დაეცა ერთი, ორი, მესამე—ასოთამწყობია... სისხლმა შადრევანივით ასხა ჭერს, არ იცის რა ჰქნას, მაგრამ არ იბნევა, გვერდზე შესამჩნევს რაღაც კარს, წიხლის მესამე დარტყმაზე შეამტვრევს ქვედა ჩარჩოს; თოთხმეტამდე ქალი და კაცი გაყავს აქედან; ბნელი, ვიწრო გზა, არ იციან სად მიდიან, ასანთის გაკვრაზე შეამჩნიეს არქივი, აქ ცოტა ხანს მოცდა, სიკვდილის ლოდინი.

რეო რამდენიმე ამხანაგთან ერთად გაძვრება აქედან, სახლის ბანზე ადიან: ზოგი საწვიმე მილს ჩაჰყვება დაბლა ჩასასვლელად. ზოგი სხვა სახლებზე გადადიან, ზოგი ერთმანეთს გადააბამენ მაშინ წელზე სარტყლად ხმარებულ ფუნჯებს, ეშვებიან ქუჩაში სადაც კეტებით უხვდებიან მეეზოვები, რომელნიც იმ ხანებში იყო მემდგარი და სახელმწიფოს შინაურ მტრებისაგან დაცვაში, მესამე კადრი იყო: ჟანდარმერია, პოლიცია, მეეზოვენი. უმრავლესობა მათგანი იყვენ ოსმალეთიდან გადმოხვეწილი გახტაკანები, სოლოლაკის ბურჟუაზიის იმედი...

უკვე ქუჩაში ჩამომხტარ რეოს კეტი მოუქნია ერთმა მათგანმა, მაგრამ რეოს ქუჩაში არ ეშინიან, ის ქუჩის შვილია, ქუჩაში აღზრდილი... ყაზახები შორს დგანან, სწვდა კეტში, ქვეშ მოიგდო, სიკვდილის პირას მიიყვანა ცემით და გარბის, მისდევენ...

მისი ზოლშევიკური სული მიჰქრის ყუბარაზე, მარა ხალხი?!

მებუკე დარბის ცხენ და ცხენ, საყვირს უკრავს სროლის შეწყვეტათ, მაგრამ სისხლში გათხუპნული ყაზახები ყურს არ უგდებენ.

დახოცილთა და დაჭრილთა ზვინები დიდდება...

სროლა თანდათან ნელდება...

გული იჯერეს ჯალათებმა...

ახლა დამალულებს ეძებენ...

ამ შენობის მეეზოვემ 15 კაცამდე დამალა თავის ოთახში;—მოდით, მე დაგფარავთ, ნუ გეშინიათ...

ეუბნება ის. რა დააბინავებს მათ, კარებს გაიხურავს, წავა.

თითქოს თავისუფლად ამოისუნთქეს დამალულებმა, მაგრამ ერთ მუშას ეჭვი ეპარება:

— კი არ გაგვცეს, და!

ამბობს ის და კარისკენ მიდის, მაგრამ გარედან გადარაზული დახვდა.

შურის ძიება აინთო..

იუდა მეეზოვემ კი სამიოდ წუთში ყაზახები დაუყენა თავზე...

შეუდგენ დაჭრილ-დახოცილთა შეგროვებას, მკვდრებს დროგებზე ყრიან. ბევრნი, რომელნიც დახოცილებში ჩაწვენ ტყვიებისაგან გადასარჩენად თავი მოიმკვდარუნეს,—საავადმყოფოში მიაქვთ და კუკიის ხიდიდან რამდენიმე მათგანს ყრიან მტკვარში, რომ რიცხვი ნაკლები ჩანდეს... მძიმედ დაჭრილები საავადმყოფოში მოათავსეს, ბევრმა მსუბუქმა დაჭრილმა არჩიობინა დამალვა.

ახლო-მახლო ქუჩის მცხოვრებლებმა ბევრი გაქცეული გადაარჩინეს, შეიფარეს.

დაჭრილები ორ ჯგუფად დაყვეს. იქვე ჯაშუშების ჩვენებით: რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაშია შემჩნეული მათ გვარებს წითელი ფანქრით ნიშნავენ—მეტეხში გასაგზავნად, შეუმჩნეველთა გვარებს ლურჯი ფანქრით ხაზავენ—უბნის სამმართველოებში მათი პიროვნების გამოსარკვევად...

მეორე დღეს, როცა ძლივსა რეცხდენ სისხლის გუბეებს, ქუჩებს ჰგვიდენ, მრავალი ქალის თითები იპოვეს, ყაზახთა მიერ ბეჭდების წართმევის მიზნით მოჭრილნი...

ბევრი მუშა, მიუხედავათ უიარაღობისა, გმირულად ხვდება გამგელებულ ყაზახებს, ებრძვის, რითაც შეუძლიათ. ისინი გალიაში გამომწყვდეულ ვეფხვებს ჰგვანან...

რამდენიმე ყაზახი ეცემა...

შურისძიებად ყალყზე ამდგარი თბილისი კი სცემს ბრძოლის განგაშს...

მე-20 საუკუნის ურჩი თქმა 1905 წლით ელავს...

გრძელდება შეტევა...

რეოს ხელში მხოლოდ 25 სექტემბერს გასხლტა ყუმბარა ყაზახების ყაზარმისაკენ შურისძიებად...

სეხმან ერთაწმინდელი.

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბათომი. — ნავთის საწმენდი ახალი ქარხნის მშენებლობა



თბილისი. — სადგურზე გამოუსადეგარ რკინეულობას აგროვებენ ხელახლა გადასადნობად.



თბილისში გაცხოველებული მუშაობაა ქალაქის კეთილ მოწყობისათვის. ითხრება ქუჩები მუშათა უბნებში კანალიზაციის გასაყვანად



სამტრედია. — აბრეშუმის ქარხანაში დაიდგა ახალი, გაუმჯობესებული დაზგები, რის შემწეობით მუშაობამ იმატა 40 პროცენტით.



ლენინაკანი. — სილოსის ახალი „კოშკი".



ბათომი. — მუშაობა ნავთსადგურის გასაფართოვებლად. საძირკვლის ჩაყრა.



ბათომი. — შავ ზღვაზე გაიხსნა საზამთრო ახალი ნაოსნობა.

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა

## კაპიტალისტების გაუმაძღრობის მსხვერპლი



სულ რამოდენიმე ხანია, რაც ოგაიოში (ამერიკა)მომხდარ კატასტროფაზე გვატყობინებდნენ. ამჟამად განმეორდა მაღაროს აფეთქება და 100 კაცი მიწის ქვეშმოჰყვა. აფეთქების მიზეზი ვენტილაციის მოუწყობლობა აღმოჩნდა. სურათზე ჯგუფი, რომელსაც მაღაროებიდან დახოცილები ამოყავს.

## ფორმაზის კუნძულზე მომხდარი ამბები.



ფორმოზის კუნძულზე იძულებით ამუშავებენ გზებზე და თამბაქოს პლანტაციებში. იაპონელებს მონოპოლია აქვთ აღებული ამა თუ იმ სამუშაოზე. ჯარის და პოლიციის დახმარებით ძალით ერეკებიან უცხოელ მუშებს. ხოლო ხელფასს აძლევენ იმდენს, რომ მუშა სიმშილით არ მოკვდეს და განაგრძოს ფიზიკური მუშაობა.

## შეერთებულ შტატების ნაციონალური პოლიტიკა



„უცხო მუშათაგან თავდაცვის კომიტეტმა" მოაწყო ყრილობა. კრების გათავების შემდეგ 150 დელეგატმა პროტესტი განაცხადა ასეთი ზომების მიღების გამო უცხო მუშების მიმართ. დემონსტრანტები პოლიციამ გაფანტა და მრავალიც დააპატიმრა. ასეთია ნაციონალური პოლიტიკა „თავისუფალ" შტატებში. სურათზე — პოლიცია აპატიმრებს ერთ-ერთ მოწინააღმდეგე დელეგატს.

საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა „კოლექტივი"ს კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 86 ტირაჟი [illegible]